პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 230 (18772) ხუთშაბათი, 6 ოქტომბერი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

საქართველოში დამთავრდა რუსეთის სფსრ რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ გამოსახტეს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა გულისთქმა და სტუმრებს განუცხადეს:

გულითადი მადლობა ცალანცების დღესასწაულისათვის,

შემოქმედებითი ურთიერთობის სიხარულისათვის

ე. ა. შევარდნაძე ესაუბრა რუსეთის ფედერაციის დელეგაციას

5 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ მიიღო რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ე. მ. ჩეხარინის მეთაურობით ჩამოსული რუსეთის ფედერაციის დელეგაცია, რომელიც რესპუბლიკაში იმყოფება საქართველოში რუსეთის სფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეებთან დაკავშირებით.

— რუსეთის კულტურის დღესასწაულმა საქართველოში, — მიმართა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ სტუმრებს, — წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა და ღრმა კვალი დატოვა რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრებაში. რუსეთის ფედერაციის ლიტერატურისა და ხელოვნების, მისი შემოქმედებითი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს ამ დღეებში მასპინძლობდა მშრომელი საქართველო. მასპინძლობდა როგორც უძველესს ადამიანებს, მათი სახით უცხადებდა სიყვარულსა და მადლობას მთელ რუსეთს, რომელთანაც დამოყვრების დღესასწაული — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავი გასცილდა რესპუბლიკის ფარგლებს.

ილაპარაკა რა იმაზე, თუ როგორ ეგებებიან საქართველოს სს რესპუბლიკის მუშათა კლასი, მშრომელი გლეხობა, სახალხო ინტელიგენცია საიუბილეო დღესასწაულს, როგორ ასრულებენ მთლიანად და გადაჭარბებით ხუთწლედის შუაგული წლის დავალებებს, ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ ხაზი გაუსვა, რომ მიღწეული წარმატებანი შესაძლებელი გახდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, უწინარეს ყოვლისა რუსეთის სფს რესპუბლიკის დახმარებისა და მხარდაჭერის მეოხებით. საქართველოს სს რესპუბლიკაში ყურადღებით სწავლობენ და ითვისებენ რუსეთის ფედერაციაში შექმნილი პროგრესულ გამოცდილებას. მაგალითად, როცა ორგანიზაციას უწევდა მუშაობას სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ფართოდ გამოყენებისათვის, რესპუბლიკა შეიარაღდა მოსკოველთა და ლენინგრადელთა მიერ შექმნილი გამოცდილებით. მრეწველობის მართვის დარგში, სადაც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ფოთის ექსპერიმენტი, ბევრი რამ გადავიღეთ დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციისაგან.

ასევე ღრმა და მრავალფეროვანია კონტაქტები სულიერი ცხოვრების, მხატვრული კულტურის სფეროში. აღძაღლობის გზაზე მდგომი საქართველოს ლიტერატურა და ხელოვნება რესპუბლიკაში ასრულებენ წინა ხაზის ძალების როლს, არსებითს გავლენას ახდენენ საქმის ვითარებაზე ეკონომიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საზოგადოების ფსიქოლოგიურ კლიმატზე, აქტიურად მონაწილეობს რა კულტურათა დიალოგში, მხატვრულ ღირებულებათა გაცვლაში, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური კულტურა განამტკიცებს ურთიერთობას საბჭოთა კავშირის ხალხთა მომძე კულტურებთან. საქართველოში ახლა მიმდინარე რუსეთის სფს რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები ბრწყინვალედ ასრულებს ამ უდიდეს სოციალურ და სულიერ-ესთეტიკურ მისიას. მოვლენები, რომელთა მოწმენი და მონაწილენი ჩვენ ვართ, ძვირფასია თითოეული ჩვენგანისათვის იმითაც, რომ ცხადყოფს სსრ კავშირის ხალხთა ურყევ შეკავშირებას ჩვენი პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

რუსეთის ფედერაციის დელეგაციის მეთაური, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე. მ. ჩეხარინი მთელ ქართველ ხალხს მიესალმა რუსეთის სფსრ ხელმძღვანელების, ყველა მისი მშრომელის სახელით და მხურვალე მადლობა მოახსენა გულითადობისათვის, სტუმართმოყვარეობისათვის, ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების კარგი ორგანიზაციისათვის. მან დამსწრეთ გაუზიარა საქართველოში შეხვედრების დროს მიღებული შთაბეჭდილებანი და თქვა, რომ მათ შთამბეჭდავად დაადასტურეს, თუ რაოდენ ღრმა და ძლიერია სიყვარული რუსეთისადმი, ხალხთა ძმობა. საქართველოს მუშათა კლასის, გლეხობის, შემოქმედებითი და სამეცნიერო ინტელიგენციის წარმომადგენლებთან რუსეთის კულტურის ოსტატთა უშუალო ურთიერთობამ ბევრი რამ გვამცნო, გვიჩვენა თუ რაოდენ დიდი და მდიდარია ჩვენი დიდი მეგობრობის საერთო ისტორიული და თანამედროვე მონაპოვარნი.

ამხ. ე. მ. ჩეხარინმა მადლობა გადაუხადა რესპუბლიკის ხელმძღვანელებს იმისათვის, რომ გაზეთებში გამოქვეყნდა წერილი საქართველოში რუსეთის სფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეებისადმი, რომელშიც მაღალი პარტიული შეფასება ეძლევა ამ მოვლენას. ამ მოვლენის მნიშვნელობა მარტო ის კი არ არის, რომ იგი ამდიდრებს მოძმე ხალხების სულიერ კულტურას, არამედ ისიც, რომ ამკვიდრებს სიმართლეს მათი ერთიანობის შესახებ, რომელიც სულ უფრო მტკიცდება იმ საფრთხის წინაშე, მსოფლიოს რომ ემუქრება.

საუბარში მონაწილეობდნენ ამხანაგები გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, გ. ვ. კოლბინი, ჯ. ი. პატიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ს. ე. ხაბეიშვილი. აქვე იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ლ. ი. მგალობლიშვილი, ნ. შ. ჯანბერიძე, რესპუბლიკის მხატვართა და მწერალთა კავშირების ხელმძღვანელები ე. დ. ამაშუკელი და ნ. ვ. დუმბაძე, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. ვ. თაქთაქიშვილი. (საქინფორმი).

რუსეთის ფერები

რუსული სახვითი ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებები, რუსეთის ხალხური ოსტატების ნაკეთობანი წარმოდგენილია ამ დღეებში საქართველოს საგამოფენო დარბაზებში. თბილისური ვერნისაჟები, რომლებიც იმართება საქართველოს სს რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების ფარგლებში, ორი მოძმე ხალხის კულტურების შეხვედრის მკაფიო ფურცლები გახდა.

5 ოქტომბერს თბილისის მხატვრის სახლში, სურათების სახელმწიფო გალერეაში, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, სადაც მოწყობილია გამოფენები „რუსეთის სფს რესპუბლიკის ხალხური ხელოვნება ზაგორსკის სახელმწიფო ისტორიულ-სამხატვრო მუზეუმ-ნაკრძალის კოლექციიდან“, „რუსული და საბჭოთა ფერწერა სახელმწიფო რუსული მუზეუმის კოლექციიდან“, „საქართველო რუსი და საბჭოთა მხატვრების ნაწარმოებებში“, იყვნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. დ. გაბუნია, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ვ. ვ. კოლბინი, ჯ. ი. პატიაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, ს. ე. ხაბეიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. შ. ჯანბერიძე, რუსეთის სფს რესპუბლიკის დელეგაციის წევრები.

იმავე დღეს რესპუბლიკის ხელმძღვანელები და რუსეთის სფს რესპუბლიკის დელეგაციის წევრები ეწვივნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტგანათლების რესპუბლიკურ სახლს, სადაც გაშლილია რუსეთის ფედერაციის გამომცემლობათა წიგნების გამოფენა (საქინფორმი).

ეს სამახსოვრო შვიდდღიური

29 სექტემბერი

● საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გულთბილად მიიღეს საქართველოში რუსეთის სფსრ ლიტერატურის და ხელოვნების დღეების მონაწილე რუსეთის ფედერაციის დელეგაცია;

● **საერთო** მოწონება და აღფრთოვანება გამოიწვია კონცერტებმა, რომლებიც სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა ლუდმილა ზიკინამ ანსამბლ „როსიასთან“ ერთად გამართა თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში და თბილისის ოფიცერთა სახლის დარბაზში.

— თუკი ცხოვრებაში არის ბედნიერი წუთები, დამიჯერეთ, რომ ჩემთვის სწორედ ახეთი დღეა.. ამიერიდან, ძვირფასო დიმიტროველებო, მიიჩნიეთ, რომ შეგეძინათ ახალი ერთგული მეგობარი — ანსამბლი „როსია“, — თქვა მომღერალმა ავიამშენებლებთან გამოსვლისას.

სურათზე: მღერის ლუდმილა ზიკინა.

● **ნაყოფიერი** და საქმიანი იყო რუსეთსა და საქართველოს არქიტექტორების შეხვედრა და საუბარი. სტუმრებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სამაგალითოა ქართველ ხუროთმოძღვართა მუშაობა ქალაქმმშენებლობის დარგში, და, განსაკუთრებით ძველი, ისტორიული უბნების განახლება-აღორძინებისათვის, რომ აქ შეიძლება ბევრი რამ ვისწავლოთ და პრაქტიკულად გამოვიყენოთ რუსეთის ისტორიული ქალაქების სარესტავრაციო მუშაობის დროს.

კულტურის ოსტატთა პატივსაცემად

5 ოქტომბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დარბაზობა გამართა საქართველოს სს რესპუბლიკაში რუსეთის სფს რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეთა პატივსაცემად. სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ლ. ი. მგალობლიშვილი, ნ. შ. ჯანბერიძე, რესპუბლიკის მხატვართა და მწერალთა კავშირების ხელმძღვანელები ე. დ. ამაშუკელი და ნ. ვ. დუმბაძე, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. ვ. თაქთაქიშვილი. (საქინფორმი).

რთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ე. მ. ჩეხარინმა სადღეგრძელოები წარმოთქვეს.

საქართველოსა და რუსეთის კულტურის ოსტატთა მეგობრობის შესახებ სიტყვა წარმოთქვეს სსრ კავშირის სახალხო არტისტებმა, სოციალისტური შრომის გმირებმა ვერიკო ანჯაფარიძემ და ანგელინა სტეპანოვამ.

საქართველოს მთელ რიგ შემოქმედებითს კოლექტივებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც დაჯილდოვდნენ რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელებით ამა წლის ივნისში რუსეთის ფედერაციაში გამართულ ჩვენი რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეებში წარმატებით გამოსვლასთან დაკავშირებით, გადაეცათ ეს სპატიო ჯილდოები. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელები გადაეცათ რუსეთის სფს რესპუბლიკის შემოქმედებითს კოლექტივებს, რომლებიც დამსახურებულ ოსტატებს, ოსტატებს, ოსტატებს,

30 სექტემბერი

● **რუსეთის სხსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეებმა — სტუმრებმა და მასპინძლებმა ლენინიზმის იდეებისადმი ერთგულების ნიშნად გვირგვინებით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი. შემდეგ კი გამარჯვების პარკში, უცნობი ჯარისკაცის საფლავთან პატივი მიაგეს საბჭოთა სამშობლოსათვის გმირულად დაღუჟულთა ხსოვნას.**

● **დიდი** ინტერესი გამოიწვია გამოფენებმა, რომლებიც ამ დღეს გაიხსნა. აქ თბილისელები გაეცნენ საყოველთაოდ ცნობილი სახელმწიფო რუსული მუზეუმის ექსპოზიციას „რუსული და საბჭოური ფერწერის ნაწარმოებები“ და რსფსრ გამსახკომის გამომცემლობათა მიერ გამოცემულ 2.300 დასახელების წიგნს.

● **რუსეთის სხსრ ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატების გამოსვლები და შეხვედრები დაიყო და მთელი კვირის მანძილზე გრძელდებოდა სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, ქუთაისში, თელავში, რუსთავში, გორში, ახალციხეში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში.**



● **ამ დღის ძირითად მოვლენად იქცა საბჭოთა რუსეთის ხელოვნების ოსტატთა დიდი საზეიმო კონცერტი ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში.**

* * *

სურათზე: დარბაზში საზეიმო კონცერტის დროს.

● **დღეების** მონაწილე, ჩვენი საპატიო სტუმარი სსრ კავშირის მფრინავი-კოსმონავტი სვეტლანა სავიცკაია სტუმრად მიიწვიეს საქართველოს თეატრალური ინსტიტუტში.

— ჩემთვის საქართველო მარტო უაღრესად შთამბეჭდავი მდიდარი ისტორია, კულტურა, წარსულისადმი ადამიანების სათუთი დამოკიდებულება კი არა, რესპუბლიკის მაღალი მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალიც არის. საკმარისია ითქვას, რომ კოსმოსში ბევრ ფრენას ქართული ასტრონავიკოსები უზრუნველყოფენ, — განაცხადა შემდეგ კოსმონავტმა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში.

1 ოქტომბერი

● **თბილისის** კინოს სახლში ერთმანეთს შეხვდნენ რუსი და ქართველი მწერლები, კულტურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები.

— **მსოფლიო ლიტერატურის ისტორიამ დღემდე არ იცის, უკეთესი და უფრო უანგარო მაგალითი ძმობისა, ურთიერთშემოქმედების პატივისცემისა და დაფასებისა, როგორიც რუსულმა და ქართულმა მწერლობამ, ახე ამალლებულმა და გაცისკროვნებულმა პოეზიით. რუს მკითხველს ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში აღმოუჩინეს ნამდვილი საქართველო მისმა საუკეთესო შვილებმა და ამით მსოფლიო ლიტერატურასაც აღმოუჩინეს იგი. ორსაუკუნოვანი ესტაფეტა რუს მწერალთა თაობებისა, რომელთა შემოქმედებაშიც ახე გამორჩეული ადგილი უკავია საქართველოს, ცხადად ღაღადებს ჩვენი ხალხების ძმობასა და მეგობრობაზე, მათს საერთო მისწრაფებაზე, კულტურათა ხულიერ ურთიერთლტოლვაზე. და ყოველივე ამას ღრმა ფესვები აქვს, — თქვა შეხვედრის გახსნისას საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, ლენინური და რუსთაველის სახელობის პრემიების ლაურეატმა, მწერალმა ნოდარ დუმბაძემ.**

● **შემოქმედებითი კონტაქტებზე, სამომავლო გეგმებზე იუო საუბარი რუსი და ქართველი მხატვრების შეხვედრაზე.**

● **ბევრი** დამთვალიერებელი ეწვია რუსეთის ხალხური ხელოვნების გამოფენას, რომელიც მხატვართა სახლში გაიხსნა. აქ წარმოდგენილი იყო ნამუშევრები ზაგორსკის სახელმწიფო ისტორიულ-მხატვრული მუზეუმ-ნაკრძალის უმდიდრესი ფონდებიდან.

● **თქვენს** ძველსა და მარად ახალგაზრდა ქალაქს მდიდარი ტრადიციები აქვს და მოხარული ვარ, რომ დავბრუნდი მიწაზე, რომელმაც ამდენი მირონცხებული მწერალი და საზოგადო მოღვაწე აღუზარდა კაიობრიობას, — აღნიშნა ქუთაისში გამოსვლისას ცნობილმა საბჭოთა პოეტმა ნიკოლოზ დორიზომ.

● **თბილისელები დიდი ინტერესით შეხვდნენ კოკუ-ლარულ სალესტრადო მოდელერალს, რსფსრ დამსახურებულ არტისტს ალა კუგაჩოვას, რომელმაც შემდეგ დღეებში კიდევ რამდენიმე კონცერტი გამართა.**

* * *

სურათზე: მღერის ალა კუგაჩოვა.

„კომუნისტს“ უპასუხებს

საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომი

„ელემენტარული პასუხისმგებლობის დეფიციტი“. ამ სათაურით „კომუნისტის“ 7 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილ წერილში გაკრიტიკებული იყო გორის რაიონის ხიდისთავის კოლმეურნეობის გამგეობა და პირველადი პარტიული ორგანიზაცია, რომელთა ინერტული მუშაობის შედეგად გეგმა-ვალდებულებანი ვერ სრულდება.

ამასთან დაკავშირებით პარტიის გორის რაიკომის პირველი მდივანი ვ. აბრამიშვილი გვტყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეფერება. დადასტურდა, რომ კოლმეურნეობის ხელმძღვანელთა უდარდელი დამოკიდებულების გამო ვენახების გარკვეული ნაწილი მოუვლელი და გაპარტახებულია, კოლმეურნეობაში მოშლილია შრომის ორგანიზაცია და დისციპლინა. 1105 კოლწევრიდან შრომაში მონაწილეობს მხოლოდ 197, ხოლო 725 შრომისუნარიანი გარე სამუშაოზეა წასული. უყაირათობის დაღი აზის ყველა საქმეს, მოუგროვებელი ხილი და წამჯა ლპება, ხოლო ეზერში საკვების გეგმები შეუსრულებელია; საგეგმო 28 ცენტნერის ნაცვლად მიღებულია მხოლოდ 5 ცენტნერი ხორბალი, საგანგაშო მდგომარეობაა მეცხოველეობაშიც.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა შესახებ იმსჯელა პარტიის რაიკომის ბიურომ და დასახა ნაკლოვანებათა გამოსწორების ღონისძიებანი. ბიურომ ხიდისთავის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს დაავალა ერთი თვის ვადაში საფუძვლიანად შეისწავლოს მის ტერიტორიაზე მცხოვრებთა შრომითი საქმიანობა და სესიაზე მკაცრი მსჯელობის საგნად აქციოს ყველა იმ პირის პერსონალური პასუხისმგებლობა, რომლებიც თავს არიდებენ საკოლმეურნეო შრომას, მათ მიმართ განახორციელონ მკაცრი ადმინისტრაციული ღონისძიებანი.

აგრონომრეწველო გაერთიანებას დაეკალა ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს კოლტრეტულ ღონისძიებათა გეგმა ხიდისთავის კოლმეურნეობაში გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და დისციპლინის განმტკიცების მიზნით. მკაცრად მოჰკითხოს მთავარ აგრონომს ჯ. აკოლაშვილს და იმ ბრიგადირებს, რომელთა მიზეზით არ სრულდება მოსავლიანობის გეგმები.

რაიონული კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ ხიდისთავის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. ფირანიშვილი იმსახურებს თანამდებობიდან განთავისუფლებას, მაგრამ ვინაიდან ახლა მოსავალი ბინავდება, სამეურნეო წლის ბოლოა და ამ დროისათვის ხელმძღვანელის განთავისუფლება მიზანშეუწონელია, ამიტომ მ. ფირანიშვილი დროებით დატოვებულია სამუშაოზე და გამოეცხადა სასტიკი საყვედური. მისი თანამდებობაზე დატოვების საკითხი განიხილება სამეურნეო წლის მაჩვენებლების მიხედვით.

შემდგომი სრულყოფისათვის

ბ. ინ-ინ

თბილისის ე. ო. პატონის სახელობის ელექტროშედუღების მოწყობილობათა ქარხანა თავისი არსებობის 25 წელს ითვლის. ამ ხნის განმავლობაში საწარმოს მიერ მომზადებული და ათვისებულია 16 სახეობის სხვადასხვა ელექტროშემდუღებელი აპარატი და აგრეგატი. ქარხანა ერთ-ერთ ჩამორჩენილ საწარმოდ ითვლებოდა. 1976 წლიდან კი სისტემატურად და გადაჭარბებით ასრულებს როგორც საწარმოო დავალებებს, ასევე სოციალისტურ ვალდებულებებს.

დღეისათვის საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის 71 პროცენტი ხარისხისნიშნა ნ ი ა. გასული წლის მონაცემებით, საწარმომ ძირითადი მაჩვენებლების გეგმა 101,3 პროცენტით შეასრულა.

ქარხანაში დღეისათვის მუშაობს 1021 კაცი, მათგან 170 სკკ წევრია, რომლებიც გაერთიანებული არიან 9 საამქრო პარტორგანიზაციაში, სადაც შექმნილია 10 პარტიული ჯგუფი.

პარტიული ორგანიზაციის საქმიანობაში დიდი ადგილი ეთმობა ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის და იდეოლოგიური სრულყოფის საკითხებს, საწარმოს ყველა სიახლე, მისი წარმატებანი იდეოლოგიური ფრონტის მუშაკთა ქმედითობაზე, მის უნარიან და საქმიან მუშაობაზე მიგვითითებს.

საგიტაციო. მუშაობის დიდმნიშვნელოვან საქმეს ჩვენთან 30 აგიტატორი და 30 პოლიტინფორმატორი ემსახურება, რომლებიც თავიანთ უნარს და შრომას სათანადოდ უხამეშენ საწარმოს ყველა საკითხის წარმატებით გადაწყვეტას.

პარტბიუროსთან შექმნილი გვაქვს და ნაყოფიერად მუშაობს პარტიული კაბინეტი, მისი მეთოდიკური საბჭო, სწორედ ამ საბჭოს მეშვეობით ზდება ყველა იმ იდეოლოგიური საკითხის კოორდინირება, რომლებმაც მომავლისთვის უნდა შეისახოს ფრთები. აგიტაციის მუშაობის ერთ-ერთ მთავარ, აუცილებელ პირობად მიგვაჩნია, ახალი ინიციატივების პროპაგანდა. მაგალითად, ეკონომიკური განათლების მსმენელთა ჯგუფში იშვა მოწინავე მუშის, მექანიკური საამქროს ხარატის ვ. პაპაშვილის ინიციატივა. ფართოდ გავუწიეთ პროპაგანდა საეკსპორტო საამქროს ამწყობ-ზეინკალთა ბრიგადირის ვ. მარტუჩენკოს საქმიანობას. იდეოლოგიური მუშაობის, მისი ზემოქმედების ერთ-ერთ აუცილებელ პირობად მიგვაჩნია პარტიული და ეკონომიკური განათლების სისტემის სრულყოფა. შარშან პარტიული განათლების ქსელში 5 ჯგუფი გვქონდა შექმნილი, ხოლო ეკონომიკური განათლების ქსელში — 12, სადაც გაერთიანებული იყო 285 სკკ წევრი და უპარტიო ამხანაგი.

წელს შექმნილი გვაქვს პარტიული განათლების ქსელში 3 ჯგუფი, ხოლო ეკონომიკური განათლების ქსელში 12 ჯგუფი, სადაც გაერთიანებული გვყავს 320 მუშაკი.

გასული წლების მაგალითის შესაბამისად მსმენელთა შემადგენლობა იქმნება მათი განათლების, უნარის და მოთხოვნის მიხედვით. იმისათვის, რომ მსმენელთა აქტიურობა გაიზარდოს და მეცადინეობის ხარისხი მაღალი იყოს, პროპაგანდისტებად შეირჩეულია ყველა ის ხელმძღვანელი მუშაკი, რომლებსაც შეუძლიათ უნარიანად, საქმიანად შეასწავლონ მსმენელებს ამა თუ იმ პროგრამის მთელი არსი. პროპაგანდისტები კი არიან ის ამხანაგები, რომლებსაც პროპაგანდისტული მუშაობის გარკვეული სტაჟი და გამოცდილება აქვთ, ახალგაზრდა პროპაგანდისტებს კი წინასწარ ვაბამთ რაიკომთან არსებულ სემინარულ მეცადინეობაში. მოწინავე პროპაგანდისტები, შესაბამისად დაჯილდოებული არიან პარტიის კიროვის რაიკომის, ქალაქკომის სიგელებით, ხოლო ზოგი მათგანის გვარი საპატიო წიგნშია შეტანილი. აი ისინიც: ი. ვეიზგიაშვილი, ა. ვართანოვი, ნ. შენგელია, ი. მეიტარჯიანი, რ. ხულაძე და სხვები.

გასულ წელს გადაწყვიტეთ მუშათა კლასისათვის შეგვეთავაზებინა სასწავლო პროგრამა შემდეგ თემებზე: „სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის საკითხები“, „სასურსათო პროგრამა“ და სხვ. ეფექტობდით, ეს ხელს შეუწყობდა საწარმოს წინსვლას. პროპაგანდისტებს დაევალათ თითოეული თემა დაეკავშირებინათ საწარმოს საქმიანობასთან.

სისტემატურად და ყურადღებით უწერდა რა კონტროლს მათს მუშაობას, ქარხნის პარტბიუროს შეძლო შარშანდელი მაგალითითა საუკეთესო მაჩვენებლებისათვის მიეღწია. პრაქტიკისა და თეორიის შერწყმამ გაზარდა მუშათა შრომის ნაყოფიერება და პასუხისმგებლობა.

დღეისათვის ეკონომიკური განათლების ქსელის არც ერთი მსმენელი არ გვყავს, ნაკისრ ვალდებულებას რომ არ ასრულებდეს და მოწინავეთა ავანგარდში არ იყოს. წარმატება კი იმანაც განაპირობა, რომ სასწავლო ჯგუფები საწარმოში ძირითადად საამქროებისა და უბნების მიხედვით დაკომპლექტდა.

ეკონომიკური განათლების ჯგუფში (პროპაგანდისტი ამხ. ვართანოვი) მსმენელმა ვ. მარტუჩენკომ ითავა, რომ მისი ბრიგადა წლიურ გეგმას მაისში შეასრულებდა. დღეს იგი 1984 წლის ანგარიშში შრომობს. მის მაგალითს მიბაძეს და საქმეს კარგად ართმევენ თავს ვ. მინკარენკოს, ვ. მეტრეველის, ო. ციხელაშვილის, ვ. პაპაშვილის და სხვათა ბრიგადები, რომელთაც ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის შეასრულონ.

რა თქმა უნდა, კარგად დაწყებულმა საქმემ, თვალსაჩინოებამ, პროპაგანდისტთა მორალურმა და მატერიალურმა წახალისებამ სათანადო საფუძვლები შეუქმნეს მომავალი სასწავლო წლის სანიმუშოდ დაწყებას და მის შემდგომ სრულყოფას.

შარშან 10 პროპაგანდისტს გამოეცხადა მადლობა, ურიგოდ მიეცათ საგზურები, მომავალში განზრახული გვაქვს მოწინავეებს მივცეთ ავტომანქანა „ჟიგული“, დავაწესოთ პრიზი საუკეთესო პროპაგანდისტის წოდებისათვის და სხვ.

წელს გადაწყდა, შევისწავლოთ ეკონომიკური განათლების ქსელში ბრიგადული მეთოდების დანერგვის საშუალებანი. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ამ მიმართულებით უკვე გარკვეული პრაქტიკა გვაქვს, აქ საქმე საინტერესოდ წარიმართება.

სასწავლო წლის დაწყებისას მსმენელებთან ორჯერ ჩავატარეთ რიგგარეშე მეცადინეობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის მასალებზე, რომელმაც შთამბეჭდავად და სასარგებლოდ ჩაიარა.

სულ მალე აღინიშნება დიდი ისტორიული მოვლენა — საქართველოს რუსეთთან შეერთების 200 წლისთავი, და პირველმა მეცადინეობებმაც ახალი წარმატებებისათვის დარაზმეს კოლექტივი.

მ. გოძიაშვილი,

თბილისის ე. ო. პატონის სახელობის ელექტროშედუღების მოწყობილობათა ქარხნის პარტბიუროს მდივანი.

,,ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲡ

საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომი

„ელემენტარული პასუხისმგებლობის დეფიციტი“. ამ სათაურით „კომუნისტის“ 7 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილ წერილში გაკრიტიკებული იყო გორის რაიონის ხიდისთავის კოლმეურნეობის გამგეობა და პირველადი პარტიული ორგანიზაცია, რომელთა ინერტული მუშაობის შედეგად გეგმა-ვალდებულებანი ვერ სრულდება.

ამასთან დაკავშირებით პარტიის გორის რაიკომის პირველი მდივანი ვ. აბრამიშვილი გვტყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეფერება. დადასტურდა, რომ კოლმეურნეობის ხელმძღვანელთა უდარდელი დამოკიდებულების გამო ვენახების გარკვეული ნაწილი მოუვლელი და გაპარტახებულია, კოლმეურნეობაში მოშლილია შრომის ორგანიზაცია და დისციპლინა. 1105 კოლწევრიდან შრომაში მონაწილეობს მხოლოდ 197, ხოლო 725 შრომისუნარიანი გარე სამუშაოზეა წასული. უყაირათობის დაღი აზის ყველა საქმეს, მოუგროვებელი ხილი და წამჯა ლპება, ხოლო ეზერში საკვების გეგმები შეუსრულებელია; საგეგმო 28 ცენტნერის ნაცვლად მიღებულია მხოლოდ 5 ცენტნერი ხორბალი, საგანგაშო მდგომარეობაა მეცხოველეობაშიც.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა შესახებ იმსჯელა პარტიის რაიკომის ბიურომ და დასახა ნაკლოვანებათა გამოსწორების ღონისძიებანი. ბიურომ ხიდისთავის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს დაავალა ერთი თვის ვადაში საფუძვლიანად შეისწავლოს მის ტერიტორიაზე მცხოვრებთა შრომითი საქმიანობა და სესიაზე მკაცრი მსჯელობის საგნად აქციოს ყველა იმ პირის პერსონალური პასუხისმგებლობა, რომლებიც თავს არიდებენ საკოლმეურნეო შრომას, მათ მიმართ განახორციელონ მკაცრი ადმინისტრაციული ღონისძიებანი.

აგრონომრეწველო გაერთიანებას დაეკალა ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს კოლტრეტულ ღონისძიებათა გეგმა ხიდისთავის კოლმეურნეობაში გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და დისციპლინის განმტკიცების მიზნით. მკაცრად მოჰკითხოს მთავარ აგრონომს ჯ. აკოლაშვილს და იმ ბრიგადირებს, რომელთა მიზეზით არ სრულდება მოსავლიანობის გეგმები.

რაიონული კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ ხიდისთავის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. ფირანიშვილი იმსახურებს თანამდებობიდან განთავისუფლებას, მაგრამ ვინაიდან ახლა მოსავალი ბინავდება, სამეურნეო წლის ბოლოა და ამ დროისათვის ხელმძღვანელის განთავისუფლება მიზანშეუწონელია, ამიტომ მ. ფირანიშვილი დროებით დატოვებულია სამუშაოზე და გამოეცხადა სასტიკი საყვედური. მისი თანამდებობაზე დატოვების საკითხი განიხილება სამეურნეო წლის მაჩვენებლების მიხედვით.



ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲮᲘᲡ დამმუშავებელ კომბინატში იური წაქაძეზე ამბობენ: ჩვენი კადრის მუშაკია. მრავალი წლის მუშაობის განმავლობაში ხალხმა კარგად გაიცნო იგი, როგორც გულმოდგინე, ენერგიული, გულისხმიერი მუშაკი. წელს მეორეჯერ აირჩიეს იური წაქაძე დამამზადებელი საამქროს მწნეხავების ბრიგადის პარტჯგუფორგანიზატორად. კომუნისტები აფასებენ თავიანთი ხელმძღვანელის უნარს, გვერდი არ აუარეს მწვავე საკითხებს, ბოლომდე მიიყვანეს დაწყებული საქმე.

ახლა ხის დამმუშავებელი კომბინატის კოლექტივი აქტიურად იბრძვის საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის, ორგანიზებულობისათვის, ყოველ სამუშაო ადგილზე წესრიგისათვის. ი. წაქაძის აზრით, ამ სამუშაოშიც დიდად ფასობს კომუნისტის პირადი მაგალითი.

მწნეხავთა ბრიგადა ახლა ამზადებს სამზარეულოს ავეჯის დეტალებს, რომელიც სახელმწიფო ხარისხის ნიშნით გამოდის. „მადი“ და „მაქსი“ მომხმარებელთა დიდი მოთხოვნით სარგებლობს. ეს მწნეხავებისაგან განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას, პროდუქციის ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას მოითხოვს.

ბრიგადა ცვლის განმავლობაში გეგმით გათვალისწინებული 1200-ის მაგივრად 1400-მდე ფარს წნეხავს, აღწევს ნედლეულისა და მასალის ეკონომიას. დიდია საერთო საქმეში პარტჯგუფორგანიზატორის წვლილი, რომელიც ცდილობს იყოს სამაგალითო თავისი ამხანაგებისათვის.

სურათზე: ხის დამმუშავებელი კომბინატის დამამზადებელი საამქროს მწნეხავთა ბრიგადის კომუნისტთა წინამძღოლი იური წაქაძე, კომუნისტთა ერთი ჯგუფი.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით:

მასობრივი ინფორმაციის ორგანოებსა და პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის ვოადგილე ამხ. იური ვლადიმერის ძე **მოსეშვილი** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

რესპუბლიკის საფინანსო ორგანოებში ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისთვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა ოქტომბრის რაისაბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგე ამხ. დავით იაკობის ძე **სეფიაშვილი** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

თელავის სატყეო მეურნეობაში დიდხანს გრძელდებოდა კრება, ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ აზრს. ფუტკარს უჭირდა. მეურნეობის ყველა მუშაკი ეძებდა გზას ეშველა და გადაერჩინა სკა. კაცს თვალზე ცრემლი მოადგებოდა, როცა ნახავდა, თუ როგორ იღუპებოდა ამდენი ხნის ნაფერები და მოვლილი ფუტკარი. დიდხანს ბჭობდნენ მეურნეობის ხელმძღვანელები. ტკიცა მუსრს ავლებდა ფუტკარს. და აი, მეურნეობის მუშაკებმა რესპუბლიკაში პირველმა წამოაყენეს ფუტკრის ავადმყოფობის — ვაროატოზის საწინააღმდეგო წინადადება. თერმოკამერაში ათავსებენ სკას. 45 გრადუსზე ტკიცა იღუპება, ფუტკარი კი გადარჩება. ასე უშველეს დაღუპვის გზაზე დამდგარ ფუტკარს. ამჯერად მეურნეობას მისი 72 ოჯახი შერჩა.

სატყეო მეურნეობის მუშაკებმა კარგად იციან, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმზე მიღებული სასურსათო პროგრამა უახლოესი ათწლეულისათვის პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. ახლა უმთავრესი ამოცანაა, რაც შეიძლება მოკლე ვადაში დააკმაყოფილონ ქვეყნის მოსახლეობა სასურსათო პროდუქტებით. ეს არის ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნვის კიდევ ერთი გამოვლინება.

უკანასკნელი 5-7 წლის მანძილზე სატყეო მეურნეობის დამხმარე მეურნეობა საგრძნობლად გაიზარდა. საგულისხმო ფაქტია, რომ თუ 1975 წელს მეურნეობამ სახელმწიფოს ერთი ტონა ღორის ხორცი მიჰყიდა, 1982 წელს — 37 ტონამდე გაიზარდა ეს ციფრი (საკუთარი წარმოებით და ოპერირებით). ხორცის თვითღირებულება ნაცვლად 1 მანეთი და 93 კაპიკისა 1 მანეთი და 70 კაპიკი იყო. მიღებულია 4 ათასი მანეთი მოგება. ამავე წელს მეურნეობამ ერთ ოჯახზე მიიღო 7 კილოგრამი თაფლი, ხოლო 1982 წელს, მიუხედავად ფუტკრის ოჯახების დაავადებისა, — 11 კილოგრამი. გეგმა გადაჭარბებით შესრულდა, მიიღეს 710 კილოგრამი სასაქონლო თაფლი, წელს მეურნეობას გადაწყვეტილი აქვს საგეგმო დავალება შეასრულოს — 72 ოჯახიდან მიიღებენ 800 კილოგრამზე მეტ თაფლს. მეტყევეები ითვალისწინებენ, რომ უახლოეს წლებში ფუტკრის ოჯახთა რაოდენობა 220-დან 250-მდე გაზარდონ. 1984 წელს მიიღებენ 2,5 ტონა, 1985 წელს 3 ტონა თაფლს და ასე შემდეგ. გაიზრდება დამხმარე მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი — მეფუტკრეობა. გამოცდილი და ენერგიული მეფუტკრეები მიხეილ ვეტროვი და ვეფა მოროხოვა დიდი მონდომებით უვლიან ფუტკარს.

მეურნეობამ 1975 წელს სამარცვლე სიმინდი 5 ჰექტარზე დათესა და აწარმოვა 10 ტონა მარცვალი. 1982 წელს 15 ჰექტარზე — 30 ტონა, წლეულს ორმაგად გაზარდეს ჰექტარობრივი ფართობი, კარგადაც დამუშავეს. თითოეულ ჰექტარზე სიმუალოდ მოელიან 50 ცენტნერ მარცვალს.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“ ᲔᲫᲘᲔᲑᲡ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲡ

ᲛᲔᲪᲧᲔᲕᲗᲐ ᲡᲐᲡᲣᲠᲡᲐᲗᲝ...

ხუთწლედის მესამე, შუაგულ წელს მეტყევეებმა გადაწყვიტეს დაამზადონ 60 ტონა თივა, 20 ტონა ჩალა, 180 ტონა საზამთრო, 1 ტონა ლობიო და 3 ტონა ასკილი. ამჟამად დიდია მომთხოვნელობა სასურსათო პროგრამის ამოცანების შესრულებისადმი. შეუძლიათ თუ არა მეურნეობის მუშაკებს ამ ამოცანების განხორციელება მაღალ დონეზე? რა თქმა უნდა, შეუძლიათ, თუ იქნება ხელის შეწყობა და არ იქნება დაბრკოლებანი. მეურნეობის დირექტორს თ. კანდელაკს სატყეო მეურნეობაში მუშაობის 25 წლის გამოცდილება აქვს, ეს მას აძლევს ძალას, რათა შეასრულოს დასახული ამოცანები, საამისოდ კი არ ჰყოფნით მექანიზმები. აკლიათ სათადარიგო ნაწილები. უფრო მეტიც, ტრანსპორტის ნაკლებობის გამო ზოგჯერ კომბინირებული საკვების შემოზიდვაც ფირდება.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მეურნეობაში დიდია შრომითი დაინტერესება და წახალისება. მაგალითად, შარშან მეურნეობამ თანამშრომლებს მიჰყიდა თაფლი, ღორის ხორცი, ქაქალი, კარტოფილი, ლობიო, გასცა ფულადი პრემიები.

მეტყევეები ეძიებენ ახალ რეზერვებს და მრავალ საჭირო ღონისძიებას სახავენ სასურსათო პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის. შარშან შეიძინეს 46 სული კამეჩი, წელს კიდევ იყიდიან და მათ რაოდენობას 100-მდე გაზრდიან. დამხმარე მეურნეობის ეს ახალი დარგი მეურნეობას ალაზნის ჭალის პირობებში უთუოდ კარგ შედეგს მოუტანს. აიშენეს კამეჩების სადგომები. გაანგარიშებული აქვთ, რომ მეკამეჩეობა 1984 წლისათვის მათ მისცემს 6 ტონა ხორცს, 1985 წელს — 9 ტონას.

მეურნეობამ ამ ხუთიოდე წლის წინათ აიშენა მარტივი ტიპის საღორე, რომელმაც ვერ დააკმაყოფილა გაზრდილი მოთხოვნილებანი. ამჟამად დაამთავრეს ახალი საღორეს მშენებლობა 30 ქუბისათვის. ამასთან ერთად თითქმის ყველა სატყეო უბანში აწყობენ მარტივი სახის გომურებს. წლეულსვე მეურნეობა სარეალიზაციოდ გამოუშვებს საკუთარი წარმოების 10 ტონა ღორის ხორცს. მომდევნო წელს ეს რიცხვი 16 ტონამდე გაიზრდება. 1985 წლისათვის კი განსაზღვრულია მეურნეობამ სახელმწიფოს ჩაბარეს 25 ტონა ხორცი.

თელაველ მეტყევეებს დიდი პერსპექტივები აქვთ დასახული მომავლისათვის. მთავარი გეზი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღებულია მეფუტკრეობის შემდგომ განვითარებაზე. გადაწყვეტილი აქვთ დამხმარე მეურნეობის ეს დარგი სანიმუშო გახადონ რესპუბლიკის მასშტაბით. წლეულს შემოდგომაზე მოაწყობენ ტბორს 3 ჰექტარზე, 200 ჰექტარზე დაიწყებენ სამუშაოს ბერძნული კაკლის გასაშენებლად. რამდენიმე ჰექტარზე გამოიყენენ ხეხილის ნერგს მოსახლეობისათვის მისაყიდად. ერთი ჰექტარი ხეხილი მეურნეობას 8-10 ათასი მანეთის მოგებას მისცემს. ყოველწლიურად 2 ჰექტარზე გააშენებენ ხილკენკრას, 5 ჰექტარზე — ბერძნულ კაკალს. თუ 1982-1983 წელს მეურნეობის ტყეებს 100 ათასი ძირზე მეტი ნაყოფის მომცემი ნარგავები შეემატა, მომავალ წლებში მათი გაშენება უფრო გააზრდება.

მეურნეობა დიდი შრომითი შემართებით, სწრაფი ტემპით მიიწევს წინ, რათა დიდი გადაჭარბებით შეასრულოს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს მიერ მის წინაშე დასახული სასურსათო პროგრამა.

ა. დოხნაძე.

ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲤᲔᲠᲘᲡᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐ

ᲠᲝᲪᲐ თბილისის ელმავალსაშენებელი საწარმოო გაერთიანების დირექტორის მოადგილის არჩილ ბალავაძის კაბინეტში შეეედი, მან კარგა ხანს ვერ მოიცალა ჩემთან სასაუბროდ. წამდაუწუმ გაისმოდა ტელეფონის ზარის წკრიალა. სამშენებლო ობიექტიდან სხვადასხვა უბნის ხელმძღვანელები ათასგვარ საკითხებს აგვარებდნენ მასთან.

ყველაფერი ეს საწარმოს გენერალური რეკონსტრუქციის მიმდინარეობას ეხებოდა. დღეს გაერთიანების მთელი კოლექტივი, რომ იტყვენ, ამ საქმით სუნთქავს. საწარმოს განახლებასთან დაკავშირებული პრობლემები ყველას აღელვებს, ყველას აინტერესებს.

სიტყვა „რეკონსტრუქცია“ ამ შემთხვევაში პირობითად უნდა გავიგოთ, რადგან ფაქტობრივად ხორციელდება ახალი საწარმოს მშენებლობა, რომელიც მთლიანად შეუცვლის იერს გაერთიანებას. რეკონსტრუქციის დამთავრების შემდეგ აქ დამზადებული ელმავლები ნამდვილად თბილისური იქნება. რას ნიშნავს ეს?

საქმე ის არის, რომ ის „ვლ“-10 და „ვლ“-11 მოდელის ელმავლები, რომლებსაც აქ უშვებენ, ძირითადად ნოვოჩერკასკის მოაზთესავე საწარმოდან შემოტანილი ნაწილებით მზადდება და ეს, რა თქმა უნდა, უარყოფითად მოქმედებს პროდუქციის თვითღირებულებაზე. მალე ეს პრობლემა სასიკეთოდ გადაიჭრება. ადგილზე დამზადდება ელმავლის ყველა დეტალი და მაშინ მაგისტრალებზე ნამდვილად ქართული ელმავლები ისრიალებენ. ერთიორად გაიზრდება ლოკომოტივების გამოშვების ხარისხობა. ახლა საწარმოო ფართობი 96 ათას კვადრატულ მეტრს შეადგენს, რეკონსტრუქციის დამთავრების შემდეგ იგი 168 ათას კვადრატულ მეტრამდე გაიზრდება, ცხადია, გადიდდება მუშათა რაოდენობაც. თუ რეკონსტრუქციამდე ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 3808-ს შეადგენდა, დღეისათვის ეს ციფრი 4400-ს ეტოლება, რეკონსტრუქცი

საბჭოთა დელეგაციის გამოსვლა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXXVIII სესიაზე

ნიუ-იორკი, 5 ოქტომბერი. (საკადრო). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე საბჭოთა დელეგაციის მეთაურის მოადგილემ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა ო. ა. ტროიანოვსკიმ გამოქვეყნა ტექსტი გამოსვლისა, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

ჩვენი პლანეტა ლამის წელში გაწყვეტოს არნახული რაოდენობის იარაღის სიმძიმეს. აქ კონცენტრირებულია უმაგალითო გამანადგურებელი ძალა. და თუ ეს იარაღი ამოქმედდა, საეჭვო გახდება კაცობრიობის ცივილიზაციის ყოფნა-არყოფნა.

ვითარებას აღრმავებს ის, რომ ამჟამად მკვეთრად გააქტიურდნენ ძალები, რომლებიც თავიანთი პათოლოგიური ამბიციების დასაკმაყოფილებლად ამწვავებენ საერთაშორისო ატმოსფეროს.

ამ ძალების უგუნური მოქმედება მომაკვდინებელი იარაღის უდიდეს პოტენციალთან შეზამბით წარმოშობს ისეთ, ხატოვნად რომ ვთქვათ, ფეთქებად ნარევს, რომელიც მშვიდობისათვის შექმნილ საფრთხეს თვისებრივად ახალ განზომილებას ანიჭებს.

ახლანდელი სიტუაციის გამო ომის თავიდან აცილების ამოცანა განსაკუთრებით მწვავე ხასიათს იძენს.

იმ პირობებში, როცა მთელ კაცობრიობას ბირთვული კატასტროფის საფრთხე ემუქრება, ყველას ვალია, ვისაც დამოკიდებულება აქვს პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღებასთან, ყველაფერზე მაღლა დაყენოს ზრუნვა მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

ყველა კონტინენტზე ფართოვდება ხალხთა ომის საწინააღმდეგო გამოსვლები, იზრდება მათი აქტიურობა მშვიდობის შენარჩუნებისათვის. ბრძოლაში. და ეს კანონზომიერია: ადამიანებს არ შეუძლიათ და არც სურთ იცხოვრონ თავიანთი მომავლისათვის მუდმივი შიშის ვითარებაში.

მათ ოდინდელ მისწრაფებას მშვიდობიანი ცხოვრებისადმი, რომელსაც განასახიერებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნები და პრინციპები, სახელმწიფოთა მშვიდობისმოყვარე უმრავლესობის ინტერესებს ეწინააღმდეგება ამ ორგანიზაციის წევრი ზოგიერთი ქვეყნის კურსი. მის შემოქმედთა კრედო რელეფურად წარმოგვიდგება ვაშინგტონის მიერ ნატოს ბლოკისათვის თავს მოხვეულ გადაწყვეტილებებში. მათი პოლიტიკა მიზნად ისახავს სამხედრო უპირატესობის მიღწევას, რომლის პოზიციიდან სურთ გაბატონება, აძლიონ ბრძანებები სხვებს.

შეიძლება ითქვას, პირთამდეა სავსე ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს ბირთვული საწყობები. და მაინც რაღაც გაშმაგებით აჩქარებენ სამხედრო კონვეიერების ბრუნვას. შეიარაღების რა კომპონენტიც უნდა ავიღოთ, თითოეულ მათგანს ან ზრდიან, ან ცვლიან ახალი — უფრო დამღუპველი კომპონენტით.

ნაკადურად აწარმოებენ ბირთვულ საშუალებებსა და სხვა სახეობათა იარაღს, აგროვებენ ბარბაროსულ ნეიტრონულ და ახალ ქიმიურ იარაღს. ახლა კი განზრახული აქვთ შექმნან კოსმოსში და კოსმოსიდან საბრძოლო ოპერაციებისათვის საჭირო სისტემები.

აპირებენ რაც შეიძლება ახლოს განალაგონ სსრ კავშირისა და მისი მოკავშირეების საზღვრებთან ბირთვული იარაღი — დასავლეთ ევროპაში შეიტანონ საშუალო სიშორის ახალი ამერიკული რაკეტები — „პერშინგ-2“ და ფრთოსანი რაკეტები.

ახლა, ერთი სამხრეთისა და აღმოსავლეთის გადახედეთ? იქაც ბირთვული იარაღით სურთ გააჯერონ ხმელეთი და წყალი. ეს ხდება ფართო გეოგრაფიული დიაპაზონით — დიეგო-გარსიიადან ოკინავამდე, ინდოეთისა და წყნარი ოკეანეების სივრცეებში.

იმისათვის, რომ გაამართლონ თავიანთი მილიტარისტული მზადების შეუკავებელი ზრდა, განზრახ აღვივებენ ომის ფსიქოზს და ყველაზე უხეშ პროვოკაციებსაც კი არ ერიდებიან.

ჩვენი მხრივ პრინციპული შეფასება მივეცით სსრ კავშირის საჰაერო სივრცეში სამხრეთ კორეის თვითმფრინავის შემოჭრასთან დაკავშირებულ ინციდენტს, ნათქვამია შემდეგ გამოსვლაში.

არავის არა აქვს ნება ხელყოს სახელმწიფოთა სუვერენიტეტი, რომელიც მათი საზღვრების ხელშეუხებლობასაც შეიცავს. ეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმაა, იგი სავსებით შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას. და ვინც გინდა შეეცადოს ჩვენი საზღვრების დარღვევას, უნდა იცოდეს, რომ ამისათვის მთელი პასუხის მგებლობა დაეკისრება.

ისინი, ვისაც ეხალისება ლაყბობა საერთაშორისო ვალდებულებათა სიწმინდის შესახებ, ქადაგებენ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში მორალის თაობაზე, ხელყოფენ ზრდილობის ელემენტარულ წესებს, პატიჯს არ სცემენ არა მარტო სახელმწიფო მოღვაწეებს, სახელმწიფოებს, არამედ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასაც. როგორც აღნიშნული იყო ი. ვ. ანდროპოვის ამასწინანდელ განცხადებაში, საერთოდ საკითხავია, შეიძლება თუ არა საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოფდეს მშვიდობასა და უშიშროებას, იმყოფებოდეს ქვეყნაში, სადაც აღვირახსნილ მილიტარისტულ ფსიქოზს აღვივებენ და შეურაცხყოფენ ამ ორგანიზაციის კეთილ სახელს?

მსოფლიოს ბედ-იღბლის გადამწყვეტია როლის პრეტენდენტები ურცხვად აცხადებენ თავიანთი საარსებო ინტერესების სფეროდ მსოფლიოს ამ თუ იმ რაიონს, რომელიც მათ მოეწონებათ და რომელიც ზოგჯერ ამერიკის შეერთებული შტატებისაგან ათასობით მილით არის დაშორებული. ბზად არიან მთელ მსოფლიოში დადგან განაცხადის ბოძები, აღნიშნულია გამოსვლაში.

მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების „საარსებო ინტერესების“ სფეროში შტანლია ახლო აღმოსავლეთი, სადაც ცდილობენ თავს მოახვიონ ახალი ანტიარაბული მორიგებანი, გეგმები, რომლებიც ბღალავს პალესტინელი ხალხის ხელშეუვალ უფლებებს. ამ რაიონს ნაბიჯ-ნაბიჯ თავს ახვევენ-თავიანთ ყოფნას. კერძოდ, სამხედრო ყოფნას. ისრაელს აქეზებენ განაგრძოს აგრესიული პოლიტიკა. ამის შედეგად ახლო აღმოსავლეთში არ ქრება ომის საფრთხის კერა მშვიდობიანი მოწესრიგება კი ჰორიზონტის მიღმა რჩება. ზიანი ადგება როგორც ამ რაიონის ხალხთა ინტერესებს, ისე საერთაშორისო უშიშროების ინტერესებსაც.

საბჭოთა კავშირი განუხრელად უჭერს მხარს ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციას, არაბი ხალხების კანონიერ უფლებებს, მათ შორის პალესტინის არაბი ხალხის საკუთარი სახელმწიფოს შექმნის უფლებას, სამართლიან ყოვლისმომცველ მოწესრიგებას, იმას, რომ მოიწვიონ საერთაშორისო კონფერენცია ახლო აღმოსავლეთის საკითხების შესახებ თანასწორუფლებიან საფუძველზე ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის პალესტინის ხალხის ერთადერთი კანონიერი წარმომადგენლის — პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის მონაწილეობით.

„საარსებო ინტერესების“ ჰეგემონისტური პოლიტიკის ადეკვატურია მისი განხორციელების საშუალებანიც. ასეთია „ცენტრალური სარდლობა“, რომელიც შექმნილია ინტერვენციონისტული მოქმედებისათვის ახლო აღმოსავლეთის, სამხრეთ-დასავლეთ აზიის, აფრიკის კონტინენტის თითქმის ორი ათეული სუვერენული სახელმწიფოს მიმართ.

მუდმივად გამზადებული ჰყავთ „სწრაფი რეაგირების ძალები“, რომლებიც განკუთვნილია ამა თუ იმ სახელმწიფოში შინაგანი ცელილებების თავიდან ასაცილებლად, თუ ისინი გულზე არ ეხატება ვაშინგტონს. და ასეთი ძალების შექმნა, შეიძლება ითქვას, მოდური გახდა ნატოს სახელმწიფოებში. რა მოჰყვება ამას, ცხადყოფს ჩადის ამბები.

ახლა არ იტყვიო, რაოდენ ფართოა ამერიკის შეერთებული შტატების მსოფლიოში მიმოფანტული სამხედრო ბაზების ქსელი? მათაც ამზადებენ იმისათვის, რომ გამოიყენონ იმ ხალხებისა და ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც იბრძვიან თავისუფლებისათვის, იცავენ თავიანთ სუვერენიტეტს. რაიონებში, სადაც ასეთი ბრძოლა მიმდინარეობს, ეძებენ ადგილებს ახალი სამხედრო ბაზებისათვის.

იმ სახელმწიფოების ნაპირებთან, რომლებსაც არ სურთ დაექვემდებარონ უცხოელთა დიქტატს, გზავნიან ავიამზიდებსა და სახაზო ხომალდებს. თანამედროვე „ქვემეხებიანი ნავები“ დაძრწიან ბევრი დამოუკიდებელი ქვეყნის სანაპიროსთან.

რამდენი ძალ-ღონე შეალიეს, რომ საქმე ისე წარმოედგინათ, თითქოს საერთაშორისო სიტუაციის ახლანდელი გაუარესება ავღანეთის ცნობილი ამბების შემდეგ დაწყებულიყოს.

ვფიქრობთ, რომ იმათთვისაც, ვისაც შეეძლო ერწმუნა ეს თეზისი, სულ უფრო ნათელი ხდება მისი ამსუნდულობა. ავღანელი ხალხის მოძულეებს არ სურთ შეურიგდნენ იმას, რომ მან გადაწყვიტა თავი დაიდგინოს შუა საუკუნეობრივ წყვდიადს, დაიწყო დემოკრატიული საზოგადოების შენება.

ავღანეთის ირგვლივ შექმნილი ვითარება, — ხაზს ვუსვამ, პრობლემის საგარეო ასპექტი — შეიძლება მოწესრიგდეს ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის იმ წინადადებათა ბაზაზე, რომლებსაც საბჭოთა კავშირი სავსებით უჭერს მხარს, ბოლო უნდა მოეღოს შეიარაღებულ შეჭრას და ყოველგვარ გარეშე ჩარევას ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საქმეებში.

თუ მტკიცედ ვიდგებით რეალურის ნიადაგზე, არ შეიძლება არ გამოვიტანოთ დასკვნა, რომ საერთაშორისო ვითარებაში საშიში ტენდენციების გაძლიერების წყარო, როგორც თავის ამასწინანდელ განცხადებაში აღნიშნა ი. ვ. ანდროპოვმა, ამერიკის შეერთებული შტატების მილიტარისტული კურსი, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობას. მისი არსია უგულებელყოონ სხვა სახელმწიფოებისა და ხალხების ინტერესები და შეეცადონ უზრუნველყონ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის გაბატონებული პოზიციები მსოფლიოში, შეაკავონ და უკუღმა შეატრიალონ მსოფლიო განვითარების ობიექტური პროცესი.

უნდა გამოვიტანოთ დასკვნა — საჭიროა პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც თავიდან აგვაცილებს უარესს. მსოფლიო მოვლენების საშიში გადახრა უნდა შევაჩეროთ, მათი განვითარება კი საერთაშორისო ურთიერთობის გაჯანსაღების კალაპოტი წარმართოთ.

საბჭოთა კავშირი, სოციალისტური თანამგზობრობის ქვეყნები ყოველ ღონეს ხმარობენ ამ მიზნის მისაღწევად.

ახლანდელი მომენტის პასუხისმგებლობა განსაკუთრებით დიდია იმ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომელიც ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის საკითხში იქმნება.

ნატოს გადაწყვეტილებით შეინიღბული ამერიკის შეერთებული შტატების გეგმები — განალაგონ დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ახალი ბირთვული რაკეტები, უკვე დიდი ხანია წამლავს პოლიტიკურ კლიმატს კონტინენტზე და მის ფარგლებს გარეთ. ამ გეგმების განხორციელება დამღუპველ გავლენას მოახდენს მთელი ევროპის და საერთაშორისო სიტუაციაზე, მნიშვნელოვნად გაამწვავებს ბირთვულ კონფრონტაციას.

მიგვაჩნია, რომ საწყალდებელ მიმართულება უნდა ძიებეთ გეგმებსა და აზრებს იმის თაობაზე, თუ რა ვუყოთ ბირთვულ იარაღს — როგორც მთლიანად, ისე ევროპაში განლაგებულ ბირთვულ საშუალებებს.

საბჭოთა კავშირმა მხარი დაუჭირა საკითხის ყველაზე რადიკალურ გადაწყვეტას. ევროპიდან ყველა ამგვარი საშუალება, როგორც საშუალო სიშორის, ისე ტაქტიკური. მაგრამ ნატო დემონსტრაციულად აცხადებს, რომ მზად არ არის ასეთი გადაწყვეტისათვის.

ჩვენ წამოვაყენეთ წინადადება. უარი ვთქვათ ევროპაში ყოველგვარი საშუალო სიშორის ახალი საშუალებების განლაგებაზე, ხოლო სსრ კავშირისა და ნატოს ყველა არსებული საშუალება დაახლოებით სამჯერ შევამციროთ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გავლილი იქნებოდა ამ იარაღისაგან ევროპის სრული განთავისუფლებისაკენ მიმავალი გზის ორი მესამედი.

ამას წინათ საბჭოთა კავშირმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ მორგების მიღწევა სურს. ჩვენი ინიციატივა ითვალისწინებს, რომ ურთიერთმისაღები შეთანხმების მიღწევის, კერძოდ, ევროპაში ახალი რაკეტების განლაგებაზე ამერიკის შეერთებული შტატების მიერ უარის თქმის შემდეგ, სსრ კავშირი შეამცირებს ევროპულ ნაწილში განლაგებულ თავის საშუალო სიშორის რაკეტებს იმ დონემდე, რომელიც შეესაბამება ინგლისისა და საფრანგეთის რაკეტების რიცხვს და მოსპობს ყველა შესამცირებელ რაკეტას, მათ შორის მნიშვნელოვანი რაოდენობის სს-20 ტიპის რაკეტებს.

ეს ყოველგვარ ნიადაგს აცლის ტკიცებებს, თითქოს სსრ კავშირი აპირებდეს შეინარჩუნოს სს-20 ტიპის შესამცირებელი რაკეტები ევროპიდან აღმოსავლეთში მათი გადატანის გზით.

პროგრესს ზოლაპარაკებაზე ხელს უშლის ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია, რომელიც მოითხოვს საბჭოთა კავშირის ცალმხრივ განიარაღებას ნატოს ქვეყნების განკარგულებაში არსებული საშუალო სიშორის ბირთვული იარაღის არსენალის ხელუხლებლად შენარჩუნების პირობით.

საბჭოთა კავშირი, ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოები არ ეწრაფვიან სამხედრო უპირატესობას, მაგრამ არც იმას დაუშვებენ, რომ სხვებმა მიაღწიონ სამხედრო უპირატესობას მათთან შედარებით. ისინი მუდამ მზარს უჭერენ თანასწორობას, ამასთან რაც შეიძლება უფრო დაბალ დონეზე.

ამ მიდგომით არის გამსჭვალული სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების შესახებ მოლაპარაკებაზე სსრ კავშირის წინადადებანიც. სხვა ღონისძიებათა შორის ისინი ითვალისწინებენ სტრატეგიული მატარებლების საერთო რიცხვის არსებით, მეოთხედით და მეტად შემცირებას და ამავე დროს ამ მატარებლებზე ბირთვული მუხტების საერთო რიცხვის შეთანხმებულ თანაბარ ლიმიტებამდე შემცირებას. ჩვენი წინადადებანი ქმყარება საერთო სამხედრო-სტრატეგიული სტაბილურობის განმტკიცების ინტერესებს, ამასთან ზუსტად უნდა იყოს დაცული თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების პრინციპი.

გამართლება არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს არც ერთ ისეთ მოქმედებას, რომელიც მსოფლიოს უფსკრულისაკენ უბიძგებს, არც ერთ დოქტრინასა და ვარაუდს, რომლებიც ემყარება იმას, რომ მისაღებია ბირთვული ომი და შესაძლებელია მასში გამარჯვება, აღნიშნულია დოკუმენტში.

ხელმძღვანელობს რა ამით, საბჭოთა კავშირი წინადადებას იძლევა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ახლანდელი სესიის დღის წესრიგში დიდმნიშვნელოვან და სასწრაფო საკითხად შევიტანოთ „ბირთვული ომის დაგმობა“.

ბირთვული ომის დაგმობა ეფექტიანად უნდა განმტკიცდეს გამაღლებული ბირთვული შეიარაღების ალაგმვის გზაზე გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯებით.

ამ თვალსაზრისით უაღრესად დროული და რეალურად ხელშესახები ღონისძიება იქნება ის, თუ ბირთვულ შეიარაღებას გაყინავს ყველა სახელმწიფო, რომლებსაც იგი აქვთ. ასეთი გაყინვის იდეას სულ უფრო ფართოდ უჭერენ მხარს მსოფლიოში — ბირთვულ და უბირთვო ქვეყნებში.

უფრო აღრე ევროპაში სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების და ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მოლაპარაკებათა დროს ჩვენმა ქვეყანამ წამოაყენა წინადადებანი, რომ დაუყოვნებლივ გაიყინოს ამ მოლაპარაკებათა პერიოდისთვის როგორც სტრატეგიული დანიშნულების, ისე საშუალო სიშორის შეიარაღება ევროპაში.

ახლა საბჭოთა კავშირს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის განსახილველად შემოაქვს სასწრაფო და დიდმნიშვნელოვანი საკითხი — „ბირთვული იარაღის გაყინვა“.

წინადადებას ვიძლევით შეწყდეს, ეფექტიანი კონტროლით, ბირთვული არსენალების ყველა კომპონენტის, მათ შორის ყველა სახეობის მიტანის საშუალებებისა და საბრძოლო მასალების ზრდა, ხელი აეღოთ ახალი სახეობებისა და ტიპების ასეთი შეიარაღების განლაგებაზე, დაგაწყოთ ბირთვული საბრძოლო მასალების ყველა გამოცდის, აგრეთვე მათი მიტანის ყველა სახეობისა და ტიპის საშუალებათა გამოცდის მორატორიუმი, შევწყვეტოთ იარაღის შექმნის მიზნით ხლეჩაღი მასალების წარმოება.

მიზნის მიღწევის საუკეთესო გზაა, თუ ყველა ბირთვული სახელმწიფო თვისებრივი და რაოდენობრივი თვალსაზრისით ერთდროულად გაყინავს ბირთვულ იარაღს. ჩვენი ქვეყანა მზად არის იმისთვისაც, რომ უწინარეს ყოვლისა ეს განაზორციელონ სსრ კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ორმხრივ საფუძველზე, რაც მაგალითი იქნება სხვა ბირთვული სახელმწიფოებისათვის.

კოსმოსური სივრცის მილიტარიზაციის თავიდან აცილებისათვის ზრუნვით — რაც საგანგებო მნიშვნელობას იძენს — საკარანტინო ზონა მიმდინარე სესიის განსახილველად წარმოდგენილი საბჭოთა წინადადება „კოსმოსურ სივრცეში და დედამიწის მიმართ“ კოსმოსიდან ძალის გამოყენების აკრძალვის თაობაზე ხელშეკრულების დადების შესახებ“.

განსაკუთრებით აღვნიშნავ სოციალისტური ქვეყნების ერთობლივ წინადადებას, რომ ვარშავის ხელშეკრულებისა და ჩრდილოატლანტიკური კავშირის სახელმწიფოებს შორის დაიდოს ხელშეკრულება სამხედრო ძალის ურთიერთგამოუყენებლობისა და მშვიდობიანი ურთიერთობის უზრუნველყოფის შესახებ. ერთიმეორის შიშსა და უხდობლობას გააქარწყლებდა ვალდებულება, რომ არ გამოვიყენოთ არავითარი იარაღი — არც ბირთვული, არც ჩვეულებრივი, საერთოდ არ გამოვიყენოთ ძალა. ეს ინიციატივა სულ უფრო ნათლად დგება ევროპისა და მსოფლიო პოლიტიკის წინაპლანზე.

ევროპისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების საქმეში მნიშვნელოვანი ოღლი უნდა შეასრულოს ევროპაში ნდობისა და უშიშროების განმტკიცებისა და განიარაღების ღონისძიებებისადმი მიძღვნილმა კონფერენციამ, რომელიც მუშაობას დაიწყებს მომავალი წლის იანვარში სტოკჰოლმში. სსრ კავშირი, რაც მასზე იქნება დამოკიდებული, ყველაფერს ეცდება, რათა კონფერენცია იყოს ნაყოფიერი, შეესაბამებოდეს მოლოდინს, რომელსაც ამყარებენ მასზე ევროპისა და სხვა ქვეყნების პოლიტიკური და უფართოესი საზოგადოებრივი წრეები.

საბჭოთა კავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ შეინარჩუნოს და გაამრავლოს მრავალმხრივი ურთიერთობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან. ვაპირებთ კვლავაც ვიქონიოთ ურთიერთობა მათთან ჰელსინკის საბოლოო აქტით გაკვალული კალაპოტით, ნდობისა და თანამშრომლობის სულისკვეთებით.

სრულიად ევროპის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების მადრიდის შეხვედრის წარმატებით დამთავრება სამართლიანად მიგვაჩნია იმის მაჩვენებლად, რომ დაძაბულობის შენელების პოლიტიკას, რომელმაც კეთილი ნაყოფი მოუტანა ევროპის ყველა ხალხს, აქვს საარსებო ძალების მტკიცე მარაგი.

ჩვენ მუდამ ვადგავართ იმ თვალსაზრისს, რომ საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ურთიერთინტერესებისათვის უნდა გვქონდეს ნორმალური, სტაბილური ურთიერთობა, და მხარს ვუჭერთ მის საერთო გაუმჯობესებას, მშვიდობიან თანამშრომლობას.

ჩვენი ბრალი არ არის, რომ ამჟამად საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის მდგომარეობა დაძაბულია, რაც გავლენას ახდენს საერთაშორისო ვითარებაზეც.

საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილებას საკმაოდ შეუძლია შეუწყოს ხელი მსოფლიოს ისეთმა დიდმა სახელმწიფომ, როგორიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაა.

საბჭოთა კავშირი მზად არის აწარმოოს პოლიტიკური დიალოგი ჩინეთთან ორმხრივი ურთიერთობის საკითხებზე, აგრეთვე მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებასთან დაკავშირებულ საკვანძო პრობლემებზე. საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის დადებითი განვითარება, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს ორივე მხარის ინტერესებს, ურთიერთპატივისცემას და ცხადია, ზიანს არ აყენებდეს მესამე ქვეყნებს, სასიკეთო იქნება ორივე ჩვენი ხალხისათვის, ხელს შეუწყობს მსოფლიო ასპარეზზე პოლიტიკური ატმოსფეროს გაუმჯობესებას.

მივიხსენებთ აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის ქვეყნების მზარდ აქტიურობას საერთაშორისო მშვიდობის დაცვაში. მათ სჭირდებათ მტკიცე მშვიდობა, რათა გადაწყვიტონ თავიანთი ეროვნული და სოციალური განვითარების ძნელი ამოცანები.

მეუმხრობელ სახელმწიფოთა მოძრაობის ომის საწინააღმდეგო, ანტიიმპერიალისტური მიმართულება კვლავ ცხადყო მიმდინარე წელს დელში გამართული ამ ქვეყნების ფორუმის შედეგებმა.

აღიარებული ავტორიტეტი აქვს ინდოეთის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, რომელიც ახლა მეუმხრობლობის მოძრაობას მეთაურობს. ინდოეთთან საბჭოთა კავშირი დაკავშირებულია მეგობრობითა და მჭიდრო თანამშრომლობით, და ამას დიდად აფასებს ორივე მხარე.

პრინციპულ ხაზს ადგას სსრ კავშირი ორთანასწორუფლებიანობისა და ექსპლოატაციის ყველა გამოვლინების ლიკვიდაციის, სახელმწიფოთა კონომიკურ კავშირურთიერთობაში ნდობის განმტკიცების, სამართლიანი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის დამყარების საკითხში.

ახლანდელ შემაშფოთებელ საერთაშორისო ვითარებაში უნდა ავამოქმედოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, როგორც საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფის ინსტრუმენტის, ნამდვილი სოლიდური პოტენციალი, ხაზგასმულია გამოსვლაში. საბჭოთა კავშირი მტკიცედ და თანამიმდევრულად მოქმედებდა და იმოქმედებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იმ ღონისძიებათა მხარდასაჭერად, რომელთა მიზანია ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილება, გამალებული შეიარაღების ალაგმვა საერთაშორისო დაძაბულობის არსებული კერების ლიკვიდაცია და ახალთა შექმნის თავიდან აცილება, სახელმწიფოთა მშვიდობის და თანამშრომლობის ურთიერთობის განვითარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად.

ი. პ. ბაბალაშვილი

გარდაიცვალა საბჭოთა არმიის ვეტერანი, დიდი სამამულო ომის აქტიური მონაწილე, გადამდგარი გენერალ-მაიორი ივანე პავლეს ძე ბაბალაშვილი. ჩვენგან წავიდა ერთგული შვილი, საბჭოთა ხალხისა და კომუნისტური პარტიისა, რომლის რიგებშიც იგი 1932 წლიდან იყო.

ი. პ. ბაბალაშვილი დაიბადა 1906 წლის 1 ნოემბერს თბილისში, მუშის ოჯახში, 1928 წელს, ქიმიური ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ იგი მოხალისედ შეიდა ქართულ გაერთიანებულ სამხედრო სკოლაში. 1935 წლიდან მან მთელი თავისი სიცოცხლე მოანმარა საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურს, სადაც განვლო გზა უმცროსი მეთაურიდან გენერალ-მაიორამდე.

დიდი სამამულო ომის წლებში ი. პ. ბაბალაშვილი იყო 47-ე არმიის არტილერიის შტაბის უფროსი, შემდეგ 414-ე მსროლელი დივიზიის მეთაური, მონაწილეობს გერმანელ ფაშისტ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლებში ამიერკავკასიის ფრონტზე, ჩრდილოეთ კავკასიისა და ყირიმის განთავისუფლებაში.

ომის შემდეგ ი. პ. ბაბალაშვილმა დაამთავრა კ. ე. ვოროშილოვის სახელობის სამხედრო აკადემია და მეთაურობდა ჯარის შეიარაღებს.

1954-1958 წლებში მას ეკავა მ. ვ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის უფროსი მასწავლებლის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხედრო კათედრის უფროსის თანამდებობები. 1958 წელს ი. პ. ბაბალაშვილი დაინიშნა ამიერკავკასიის წინააღმდეგო ჰაერსაწინააღმდეგო სამხედრო ოლქის შტაბის უფროსის პირველ მოადგილედ.

ი. პ. ბაბალაშვილი 1965 წელს სამხედრო სამსახურიდან გადადგა და აქტიურად მონაწილეობდა ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტულ და ინტერნაციონალურ აღზრდაში. იგი მრავალი წლის მანძილზე მეცნიერულ კვლევას ეწეოდა „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის ისტორიის“ პრობლემაზე და 1969 წელს დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

1972 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე ი. პ. ბაბალაშვილი მეცნიერ თანამშრომლად მუშაობდა ი. ა. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. იგი მაღალერუდირებული მეცნიერი იყო და ეწეოდა ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშაობას, ავტორია ოცდაათი მეცნიერული ნაშრომისა, რომელთაგან ბუთი მონოგრაფიაა, ისინი ეხება დიდი სამამულო ომის პერიოდის საჭირბოროტოს ისტორიის დიდმნიშვნელოვან საკითხებს.

ი. პ. ბაბალაშვილს ახასიათებდა მინდობილი საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა, პარტიული პრინციპულობა, მომთხოვნელობა საკუთარი თავისა და ხელქვეითებისადმი. მან დამსახურებული ავტორიტეტი და პატივისცემა მოიპოვა რეს პუბლიკის პარტიულ და საბჭოთა აქტივს შორის.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ დიდად დააფასეს ი. პ. ბაბალაშვილის დამსახურება — დაჯილდოვეს ლენინის ორდენით, ორი წითელი დროშისა და ორი წითელი ვარსკვლავის ორდენით, მრავალი მედლით.

ივანე პავლეს ძე ბაბალაშვილის — მგზნებარე კომუნისტის, მამაცი ჯარისკაცის, დაუღალავი მშრომელის, სოციალისტური სამშობლოს მხურვალე პატრიოტის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულებში.

ე. ა. შევარდნაძე, პ. გ. გილაშვილი, დ. ლ. ძართველიშვილი, გ. ვ. კოლგანი, ბ. ნ. ენუქიძე, ვ. ფ. ბარბელოვი, ა. ი. ზირინჯანი, ვ. კ. კირილიუკი, ნ. რ. საჯაია, ლ. ლ. შარაშენიძე, ნ. ი. კალაძე, ბ. გ. კაციაბაძე, ნ. ი. სტურუა, ო. ი. ეჯიბაძე, ბ. ვ. მოროზოვი, რ. ტ. ნიორაძე.

მწერლები მხარს უჭერენ მშვიდობას

საბჭოთა და საზღვარგარეთელ ლიტერატორთა ნაწარმოებები, რომლებიც მოუწოდებენ მშვიდობის, ხალხთა შორის მეგობრობისათვის, აყალიბებ პოეზიის ინტერნაციონალურ საღამოზე, 4 ოქტომბერს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში რომ გაიმართა. მოსკოველების წინაშე გამოვიდნენ აზიისა და აფრიკის ქვეყნების მწერალთა მოძრაობაში, რომელშიც ორი კონტინენტის მხატვრული ინტელიგენციის პროგრესული ძალები დარაზმა მშვიდობისათვის, კოლონიალიზმის, იმპერიალიზმის, რასიზმისა და აგრესიის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის ბაზაზე.

საღამოზე გამოსულმა პაკისტანელმა პოეტმა, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატმა ფაიზ აჰმად ფაიზმა, ეგვიპტელმა ლიტერატორმა და საზოგადო მოღვაწემ, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატმა აბდურაჰმან ალ-ჰამისიმ, პალესტინელმა პოეტმა მუინ ბეისუმ და სხვებმა თქვეს, რომ საჭიროა განმტკიცდეს მთელი პროგრესული ძალების ერთიანობა და შეკავშირება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახლა, როცა პლანეტაზე საფრთხე შექმნა მშვიდობას, რაც გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატების მილიტარისტულმა კურსმა. მხატვრული სიტყვის ოსტატებისათვის იმაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა არ არსებობს, ხაზგასმით აღნიშნეს საღამოს მონაწილეებმა, ვიდრე ინტერნაციონალიზმისა და სოლიდარობის დროშის ქვეშ გაერთიანება.

საღამო დამთავრდა მოსკოვისა და შუა აზიის რესპუბლიკების ხელოვნების ოსტატთა კონცერტით. (საკადესის კორ.).

ეს სამახსოვრო შვიდდღიური

3 ოქტომბერი



● **დიდი** ინტერესი გამოიწვია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გახსნილმა გამოფენამ „საქართველო რუსი და საბჭოთა მხატვრების ნაწარმოებებში“. ექსპოზიციაში ექვსასი უნიკალური ნაწარმოებები დაწყებული მიხეილ ლერმონტოვიდან ჩვენს დღეებამდე. (სურათზე: გამოფენის ერთ-ერთი ექსპონატი).

● **თბილისის** ჰადრაკის სახლში საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა, რუსეთის ფედერაციის და საქართველოს „ცოდნის“ საზოგადოებათა გამგეობებმა რესპუბლიკის დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა სამეურნეო მუშაკების, იდეოლოგიური აქტივის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისათვის მოაწყვეს საზოგადოებრივ პოლიტიკური კითხვა.

● **მოვლენას** შეფასებას აძლევს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნის“ სამეცნიერო თავმჯდომარე აკადემიკოსი ევგენი ხარაძე.

— საქართველოში მიმდინარე „რუსეთის ფედერაციის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები ტარდება როგორც დიდი ზეიმი. იგი კანონზომიერად ერწყმის რუსი და



კაპიტნის ყვავილები

ბელი და ალამიანები

კარის ზღვის ამ მაღალ განედებს — აქაური ცივ ტალღებს — მრისხანე კლდეებს, აქაურ სელაპებსა და ფრინველებს არასოდეს არ უნახავთ ამდენი სამხრეთული ყვავილები... პირველად ნახეს ასეთი რამ ახალგაზრდა მეზღვაურებმაც, რომლებიც თბომავალ „ბელომორელისის“ ბორტის წინ ჩამწკრივდნენ...

გემი ტიქსსა და ხატანგაში მიდიოდა. ბელუხის კუნძულთან მან სვლას უკლო და მიუახლოვდა კლდეებს, რომლებსაც მოქცევის ტალღები ეხეთქებოდა.

— აქ! — თქვა კაპიტანმა ვლადიმერ დემჩენკომ.

ზღვას სირენის გუგუნმა გადაუარა, აქვე მას ბანი მისცა მეორემ: ყინულმჭრელი „მურმანსკი“ უახლოდ დადგებოდა.

შავით მოსილმა ქალმა ბორტიდან გადაუშვა ლენტებით შემკული დიდი წითელი ყვავილების გვირგვინები. წყალს თითქოს მეწამული ფერი დაედო, თითქოს იმ საზღვაო ბრძოლის ხანძარმა იფეთქა, რომელიც აქ 1942 წლის 25 აგვისტოს მოხდა...

არქტიკის ვეტერანი — ყინულმჭრელი „ალექსანდრე სიბირიაკოვი“ მაშინ დიქსონიდან მოდიოდა, რათა ახალი პოლარული სადგურები მოეწყო, მოზამთრენი შეეცვალა... ეს საჭირო იყო სტრატეგიული ტვირთის გადაზიდვის უზრუნველსაყოფად, ამინდისა და ყინულის მდგომარეობის პროგნოზების შესადგენად.

ბელუხის კუნძულთან გადაეყარა „სიბირიაკოვი“ ფაშისტურ კრეისერ „ადმირალ შეერს“, რომელიც კარის ზღვაში შემოსულიყო. „სიბირიაკოვი“ რომ შენიშნა, „შეერმა“ გადასცა: „დაუშვით დროშა, გამორთეთ რაცია, შეგვატყობინეთ ყინულის მდგომარეობა!“. ფაშისტური კრეისერის მეთაური არაფრით არ მოელოდა წინააღმდეგობას. ძალები მეტისმეტად უთანასწორო იყო!

მაგრამ გაუთვალისწინებელი რამ მოხდა: საბჭოთა გემს დროშა არ დაუშვია, მისმა რაციამ კი მთელ არქტიკას მოსდო ცნობა მეკობრის გამოჩენის შესახებ. „სიბირიაკოვმა“ კრეისერისაკენ აიღო კურსი, თანაც ცეცხლს უშენდა თავისი ოთხი პატარა ჯარბაზნით, რომლებთაც ყინულმჭრელი აღჭურვილი იყო წყალქვეშა ნავებთან საბრძოლველად. „სიბირიაკოვის“ ბოგურაზე იდგა კაპიტანი ანატოლი ალექსის ძე კაჟარავა.

დიახ, ძალები მეტისმეტად უთანასწორო იყო. მალე კარის ზღვის წყალი ააელვარა ცეცხლმოდებულმა საბჭოთა გემმა. მაგრამ ჩვენს წყლებში „შეერის“ გამოჩენის ცნობა უკვე მიიღეს. საბჭოთა არქტიკა დაუპატიჟებელ სტუმართან საბრძოლველად გაემზადა. „შეერის“ კაპიტანმა ომის შემდეგ თავის მოგონებებში შეიტანა ერთი თავი, რომელსაც უწოდა „სიბირიაკოვი“ იერიშზე მოდის“. მძიმედ დაჭრილი, გონდაკარგული კაპიტანი მეზღვაურებმა — სულ ცამეტი კაცი გადარჩა — ნავში ჩაუშვეს. შემდეგში ყველანი ტყვედ ჩაცვივდნენ. მაგრამ „შტუტგოფის“ საკონცენტრაციო ბანაკის მავთულხლართებში გამომწყვდეული ეკიპაჟი უქმად არ იყო — წინააღმდეგობას განაგრძობდა. კაპიტანი ა. კაჟარავა იატაკქვეშა ბრძოლის ერთ-ერთი აქტიური ხელმძღვანელი გახდა.

ომის შემდეგ, ჭრილობები რომ მოიშუშა, ანატოლი კაჟარავა კაპიტნის ბოგურას დაუბრუნდა და ოცდაათ წელს დაცურავდა არქტიკაში. შემდეგ მას დაავალეს შეექმნა და სათავეში ჩასდგომოდა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს, და მეუღლესთან — ნაზო იაკობის ასულთან ერთად ბათუმში დასახლდა. მეზღვაურებმა იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს, იყო სკკპ XXV და XXVI ყრილობების დელეგატი.

შარშან ბათუმელები სამუდამოდ გამოეთხოვნენ ანატოლი კაჟარავას. სწორედ მაშინ გადაწყდა, ერთ-ერთი მშენებარე დიდი ტანკერისათვის „კაპიტანი ანატოლი კაჟარავა“ ეწოდებინათ.

— როცა ანატოლი ჯერ კიდევ ჩრდილოეთში ნაოსნობდა, ბელუხაზე მდიოდა ხოლმე, — გვიამბობს მისი მეუღლე. — დაბრუნებისას ყოველთვის იხსენებდა „სიბირიაკოვზე“ დაღუპულ მეგობრებს: კომისარ ელიმპეახს, უფროს თანაშემწე სულაკოვს, უფროს მექანიკოს ბოჩურკოს, იუნგა იურა პროშინს... უხაროდა, რომ მათი სახელები ეწოდა კუნძულებს. და შემდგომში, როცა ბათუმში დავსახლდით, სულ ენატრებოდა ხოლმე იქაური ადგილები. „მოდი, იცი რა ვქნათ, ნაზო, — ჩავიდეთ და ორასი ყვავილი ჩავუტანოთ“.

ვერ მოასწრო. და მაშინ გადაეწყვიტე მე წავალ-მეთქი. სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროში დავრეკე: „დიახ, რა თქმა უნდა, — მითხრეს მე. — დაგებმარებთ!“. შემატყობინეს, რომ აგვისტოს დამლევს არხანგელსკიდან ბელუხისკენ წავა თბომავალი. ბათუმში გერბერა უკვე აღარ ყვაოდა. თბილისში ჯერ კიდევ შეიძლებოდა მისი შოვნა. გაეფრინდი თბილისში, იქიდან — არხანგელსკში. სწორედ ასე მოვხედი „ბელომორელისზე“...

გემს სამი ზღვა უნდა გაეცვლა: თეთრი ზღვა მზიანი ამინდით დაგვხვდა, ბარენცისა — შტორმით, კარისა — სუსხიანი ქარებით.

თბომავლის ეკიპაჟმა იცოდა, თუ ვინ იყო მათი მგზავრი. კაპიტანმა დემჩენკომ უამბო, თუ რა მოხდა ამ კალდოვანი კუნძულის მახლობლად და რატომ ჩაუვლიან ხოლმე ამ ადგილს გემები სირენის გუგუნით. მეზღვაურნი გაკვირდნენ, რომ ლეგენდარული კაპიტნის ცოლი, უკვე არცთუ ახალგაზრდა ქალი, იმ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორია, რომელიც სავაჭრო ფლოტის მეზღვაურებს ამზადებს, რომ მას კიტელი და მაღალი რანგის სამხრეულები აქვს. არა, ეს ტანსაცმელი მას თან არ წამოუღია, შავი კაბა ჩაიცვა, მას თან მოჰქონდა ორასი ყვავილი და მათთან ერთად — თავისი სიყვარული. და ქმრის ხსოვნის აუსრულებელი ვალი დაღუპული თანამებრძოლების წინაშე.

— სანამ გვირგვინებს ზღვაში ჩაუშვებდი, — გვიამბობს ნაზო იაკობის ასული, — კაპიტანს გადაეცეცი საათი, რომელიც ანატოლიმ მიიღო პარტიის XXVI ყრილობაზე. გადაეცეცი და ვთხოვე გაეჩერებინა იგი, როცა ყვავილები წყალში ჩაეშვებოდა. ახლა საათი მისი პორტრეტის წინ იდება, ხოლო წყალს, რომელიც ბელუხის კუნძულის მახლობლად კარის ზღვიდან წამოვიღე, მის საფლავს ვასხურებ, როგორც სამშობლოსათვის დაღუპული მისი მეგობრების სახსოვარს.

ძაძებიანი ქალი წყალში ყრიდა ყვავილების გვირგვინებს.

ზღვა, თითქოს გრძნობსო წმიდათაწმიდა მისიას, ტალღებზე არხევდა წითელ გვირგვინებს კაპიტნისაგან, რომლის სახელიც ხომალდს ეწოდა.

ა. ტარბანკინი.

„პრავდა“. 1983 წ. 4 X

დიდი წარმოსტება

ეროვნული ... წარმოსტება

ვარშავა, 5 ოქტომბერი. (საკადესი). აქ დიდი წარმატებით დამთავრდა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის გამოსვლები, რომელიც ვარშავაში საერთაშორისო თეატრალურ შეხვედრებში მონაწილეობდა. სასცენო ხელოვნების ეს წარმომადგენლობითი ფორუმი აქ უკვე მესამედ გაიმართა. საბჭოთა მსახიობებთან ერთად მასში მონაწილეობდნენ ბუდაპეშტის, ბელგრადის, დასავლეთ ბერლინის, ტოკიოს შემოქმედებითი კოლექტივები.

თბილისის თეატრმა პოლონელ მაყურებელთა სამსჯავროზე გამოიტანა ორი დადგმა — ბ. ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“ და უ. შექსპირის „რიჩარდ III“. ქართველ მსახიობთა წარმოდგენებმა პოლონეთის დედაქალაქის კულტურული საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია და თეატრალური კრიტიკის მაღალი შეფასება დაიმსახურა. განსაკუთრებით აღნიშნავენ რეჟისორ რ. სტურუას მიერ პიესების დადგმას. გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ“ აღნიშნავს, რომ ქართველ ოსტატს აქვს ინდივიდუალური შემოქმედებითი მანერა, ხასიათდება მაღალი პროფესიონალიზმითა და ბ. ბრეხტის თვალსაჩინო ნაწარმოების ღრმა ორიგინალური ინტერპრეტაციით. გაზეთი წერს, რომ რეჟისორს მხარში უდგას და დიდი გამომსატყვლობის მიღწევაში ეხმარება კომპოზიტორი გ. ყანჩელი, რომლის მუსიკა სპექტაკლის ნამდვილი მოქმედი პირია.

პრესა აღნიშნავს ქართველი მსახიობების შესანიშნავ თამაშს. საბჭოთა სცენის ოსტატების წარმატებას, წერდა „ტრიბუნა ლუდუ“, უზრუნველყოფს მთელი დასის შესანიშნავი თამაში, თეატრის მთელი კოლექტივის ძალისხმევა.



ფიდეს კონგრესზე

მანილა, 5 ოქტომბერი. (საკადესი). უკვე დასახელებულია 5 ქვეყანა, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს მოაწყონ ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩები. ეს ქვეყნებია იუგოსლავია, ინგლისი, ესპანეთი, ავსტრია და ვენესუელა. ეს ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის (ფიდეს) პრეზიდენტმა ფ. კამპომანესმა გამოაცხადა ფილიპინების დედაქალაქში ფიდეს ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე, რომელიც ამ ფედერაციის 54-ე კონგრესის ფარგლებში გაიმართა. კამპომანესმა თქვა, რომ მატჩების ადგილისა და დროის შერჩევისას იგი მოეთათბირება მონაწილეებს, მათს ეროვნულ ფედერაციებს და იმათ, ვინც ამ შეჯიბრების ორგანიზაციის სურვილი გამოთქვა.

ნახევარფინალური მატჩების დრო და ადგილი, როგორც ფიდეს პრეზიდენტმა აღნიშნა, რაც შეიძლება მალე განისაზღვრება, რათა ორივე შეჯიბრება წელსვე გაიმართოს.

ფიდეს ცენტრალური კომიტეტის სხდომის მონაწილეებმა, როგორც ჟურნალისტებს უთხრა კონგრესის პრეს-ატაშემ ე. სანგალაგმა, ტაში დაუკრეს, როცა კამპომანესმა გამოაცხადა თავისი გადაწყვეტილება — მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა შეჯიბრების ფინალისტები მატჩებში განსაზღვროს.

გაგრძელდა დისკუსია იმ გეგმის გამო, რომ მსოფლიო პირველობისათვის შეჯიბრებათა ციკლი მოეწყოს ხოლმე არა სამი წლის მანძილზე, როგორც ამჟამად, არამედ ორი წლის განმავლობაში. ხმის უმრავლესობით გადაწყდა, ამ საკითხის განხილვა ფიდეს მომდევნო კონგრესამდე გადაიდოს.

5 ოქტომბერს ფილიპინების კონგრესების საერთაშორისო ცენტრში გაიმართა ფიდეს გენერალური ასამბლეის გახსნის საზეიმო ცერემონია. მონაწილეების 51 ქვეყნის წარმომადგენლების წინაშე გამოვიდნენ ფ. კამპომანესი და დიდი მანილის ვიცე-გუბერნატორი ი. მატაი.

დიდი მანილის გუბერნატორმა, ფილიპინების ეკონომიკისა და დასახლებათა მინისტრმა ი. მარკოსმა მალაკანიანგის სასახლეში დარბაზობა გაუმართა კონგრესის დელეგატებს.

დარბაზობის დროს ი. მარკოსი ესაუბრა ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონებს მ. ჩიბურდანიძეს და ა. კარპოვს, საბჭოთა დელეგაციის სხვა წევრებს. ი. მარკოსმა აღნიშნა ჩიბურდანიძისა და კარპოვის დიდი პირადი წვლილი ჭადრაკის განვითარებასა და პროპაგანდაში, მშვიდობის საკეთილდღეოდ მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებაში.

შეხვედრები, ნაცნობობა, თანამეგობრობა

წინაპრების ნაანდერძევი

ძველი ბებრისციხის გალავანთან გაისმა საქართველოს კომკავშირელების, ახალგაზრდობის ფიცი — კვლავაც საუკუნეების მანძილზე ატარონ რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობა, რომელიც წინაპრებმა გვიანდერძეს. ეს ფიცი წარმოთქვა ათასობით ქალაშვილმა და ჭაბუკმა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი ინტერნაციონალური მეგობრობის აქ გამართულ ახალგაზრდულ დღესასწაულზე.

ავდრიანი დღე იყო, მაგრამ მცხეთის, ახლომახლო სოფლებისა და რაიონების მცხოვრებნი, თბილისელები, საქართველოს სტუმრები, მიემართებოდნენ არაგვის ნაპირისაკენ. აქ ციხესამაგრის ძირას განლაგებულია მცხეთის ახალი თეატრონი, რომელიც რაიონის შრომელებმა აიშენეს სახელოვანი იუბილეს წინ.

თეატრალიზებულმა წარმოდგენამ რეტროსპექტულად ასახა რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის ყველა ძირითადი ნიშანსვეტი. მათს ისტორიაში იყო მშვიდობიანი აღმშენებლობითი შრომის დღეები, მაგრამ მრისხანე ომის ხანაც გადიტანეს მათ. სადაგ დღეებშიც, მკაცრი განსაცდელის ჟამსაც ჩვენს ხალხებს შთააგონებდა ძმური ერთიანობის შეგნება.

ამ დღეს მაყურებლებიც, მსახიობებიც ერთ მთლიანს შეადგენენ — სპექტაკლი ყველას მოიცავდა. და როცა სცენაზე ქღერდა რეკოლუციური მუსიკა, მაყურებლებს ხელში დაუნახავედით თეთრ ფურცლებს — ლეგენდარულ „ისკრას“, გაზეთ „ბრძოლას“. გაისმოდა ფონოგრამაზე ჩაწერილი ილიჩის ცოცხალი ხმა...

საქართველოსა და რუსეთის მეგობრობასა და ძმობას უმღერეს დიდმა წინაპრებმა — ალექსანდრე გრიბოედოვმა და ნიკოლოზ ბარათაშვილმა, მიხეილ ლერმონტოვმა და აკაკი წერეთელმა, ილია ჭავჭავაძემ და მაქსიმ გორკიმ. მათი ამაღლებული სახეები გაცოცხლდა ახალგაზრდულ დღესასწაულზე. დინამიკებიდან თეატრონზე გაისმოდა მათი მგზნებარე მოწოდებანი — მარად დაიცვან ჩვენი ხალხების ძმობა. რუსულ ფერხულს, სიმღერებს ცვლიდა მგზნებარე ქართული ცეკვა, ვაჟთა მრავალხმიანი სიმღერა.

დღესასწაულს განსაკუთრებული კოლორიტი მიანიჭა „მასში რუსეთის ფედერაციის დელეგაციის წევრთა, მისი ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობამ. ბრწყინვალედ გამოვიდნენ კრასნოიარსკის ციმბირის ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, საუკეთესო თვითმოქმედი ახალგაზრდული კოლექტივები, რესპუბლიკის ანსამბლებისა და მხატვრული სტუდიების მოცეკვავეები.

ამაღელვებელი და მკაფიო წარმოდგენა ისტორიისა და დღევანდელი დღის შესახებ — მეგობრობისა და ძმობის სპექტაკლი სამოდამდე დაამახსოვრდებათ მის მონაწილეებს. ამიერიდან მცხეთის თეატრონი გახდება რესპუბლიკის კომკავშირის, ახალგაზრდობის დღესასწაულობათა ტრადიციული ადგილი.

დღესასწაულში მონაწილეობდნენ რუსეთის სფსრ დელეგაციის წევრები რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ე. ჩეხარინის მეთაურობით, ამხანაგები გ. ანდრონიკაშვილი, პ. გილაშვილი, გ. ენუქიძე, დ. ქართველიშვილი, ო. ჩერქეზია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სიროძე, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტსამმართველოს უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ა. შირინკანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ნ. ენდელაძე, ა. საყვარელიძე, ნ. ჯანბერიძე, რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ლორთქიფანიძე.

ეს სამახსოვრო შვიდღღიური

4 ოქტომბერი

● **ამ დღის** ცენტრალური მოვლენა იყო გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი მემორიალური კომპლექსების გახსნა საქართველოს სამხედრო გზაზე.

● **მახარაძის** რაიონის სოფელ შემოქმედში გაიხსნა გამოჩენილი საბჭოთა რეჟისორის და საზოგადო მოღვაწის ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანჩენკოს მემორიალური სახლი და ძეგლი. დიდი რეჟისორის მოწაფემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, სოციალისტურმა შრომის გმირმა ანგელინა სტეპანოვამ ამაღელვებლად მოუთხრო დამსწრეთ გამოჩენილი ხელოვანის ღვაწლსა და მეჩკვიდრეობაზე, უღრმესი მადლობა გადაუხადა მასპინძლებს ყოველივე იმისათვის, რაც მან აქ ნახა და განიცადა.

• • •

სურათზე: ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს ძეგლი.

● **საქართველოს** კომპოზიტორთა კავშირში გულითადად ისაუბრეს და ერთმანეთს თავიანთი შემოქმედებითი გეგმები გააცნეს რუსმა და ქართველმა კომპოზიტორებმა, მუსიკოს-შემსრულებლებმა.

● **თბილისის** საოპერო თეატრის სცენაზე კონცერტი ჰქონდა სახელმწიფო აკადემიურ ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ბერიოზკას“. სახელგანთქმული კოლექტივის ხელოვნებამ მაყურებელთა საერთო აღტაცება გამოიწვია.

● **ბაიმბრთა** რუსეთის სფსრ და საქართველოს მწერალთა კავშირების სამდივნოთა გაფართოებული სხდომა, რომელიც თანამედროვე რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის აქტუალურ საკითხებს მიეძღვნა. სხდომაზე გამოვიდნენ ორი შეგობრობისა და ძმობის სპექტაკლი სამოდამდე დაამახსოვრდებათ მის მონაწილეებს. ამიერიდან მცხეთის თეატრონი გახდება რესპუბლიკის კომკავშირის, ახალგაზრდობის დღესასწაულობათა ტრადიციული ადგილი.

იქ, სადაც საზღვარი გადის

გულგარელი მესაზღვრის ა. ილიევის სახელობის სასაზღვრო საგუშაგოს ბიბლიოთეკაში ძნელია მწერლების მიხეილ დუდინისა და მიხეილ ალექსეევის წიგნების მიღება — ისინი ყოველთვის ხელზე აქვთ მკითხველებს. მარტო ამითაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რა სიხარულით შეხვდნენ მესაზღვრეები თავიანთ საყვარელ ავტორებს, რომლებიც მათთან ჩამოვიდნენ საქართველოს სს რესპუბლიკაში რუსეთის სფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების სხვა მონაწილეებთან ერთად.

ლენინური პრემიის ლაურეატმა, სოციალისტური შრომის გმირმა მ. დუდინმა ამ შეხვედრაზე წაიკითხა საზღვრის მეომრებისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები. სოციალისტური შრომის გმირმა მ. ალექსეევმა კი მათ გაუზიარა შემოქმედებითი გეგმები, ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რაზე მუშაობს ჟურნალ „მოსკვას“ რეფოლეგია, რომელსაც იგი უდგას სათავეში. გულში ჩამწვდომი რუსული სიმღერები შეასრულა საგუშაგოში ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატმა, ესტრადის მსახიობთა სრულიად რუსეთის კონკურსის ლაურეატმა ლ. რიუმინამ.

ოფიცრები ი. კოგუტენკო და ვ. ლობოდა სტუმრებს ესაუბრნენ აჭარის მშრომელებთან მესაზღვრეების მეგობრობაზე. საზღვრის დაცვა ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობას თავის ღვიძლ საქმედ მიაჩნია. პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოები დიდ მუშაობას ეწევიან მოსახლეობის სიფხიზლის ამაღლებისა და მესაზღვრეებთან მისი კავშირის განმტკიცებისათვის.

შეხვედრას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პაპუნიძე და რუსეთის სფსრ კულტურის მინისტრი ი. მელენტიევი.

(საქინფორმი).

● ●

სურათზე: ვლადიმერ მაიაკოვსკის ძეგლი, რომელიც გაიხსნა სამხედრო გზაზე (მოქანდაკე — გ. ჯაფარიძე).

გ. კიკვიძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეს სამახსოვრო შვიდღღიური

5 ოქტომბერი

● **რესტავრაციის** შემდეგ თბილისში გ. ტაბიძის ქუჩაზე ცნობილი სმირნოვების სახლში გაიხსნა ლიტერატურულ ურთიერთობათა სახლის (პუშკინის მემორიალის) ექსპოზიცია. მისი პირველი დამთვალიერებლები (სურათზე) იყვნენ რუსეთის სფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეები. ალექსანდრე პუშკინის მუზის ნათელით მოსილი ეს სახლი განუყრელად არის დაკავშირებული რუსი და ქართველი ხალხების შემოქმედებით თანამეგობრობის ისტორიასთან.

● **ბაიმბრთა** რუსეთის სფსრ და საქართველოს მწერალთა კავშირების სამდივნოთა გაფართოებული სხდომა, რომელიც თანამედროვე რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის აქტუალურ საკითხებს მიეძღვნა. სხდომაზე გამოვიდნენ ორი შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარეები სოციალისტური შრომის გმირი ს. მიხალკოვი და ლენინური პრემიის ლაურეატი ნ. დუმბაძე, ამ კავშირების სხვა ხელმძღვანელები — გ. ციციშვილი, მ. შევჩენკო, ჯ. ჩარკვიანი, ნ. დორიზო, აგრეთვე მოსკოვის გამომცემლობა „ხუდოჟესტვენნაია ლიტერატურის“ განყოფილების გამგე ი. იზრაილსკაია და რსფსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ვ. სოლოუხინი.

● **რუსეთის** სფსრ დელეგაციის წევრები რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე. მ. ჩეხარინის მეთაურობით სტუმრად მიიწვიეს და გულითადად უმასპინძლეს კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში. მათთან ერთად იყო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ე. ჩერქეზია.

● **საღამოს კი ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში ბაიმბართა ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების დამთავრებისადმი მიძღვნილი რუსეთის სფსრ ხელოვნების ოსტატთა დიდი საზეიმო კონცერტი, რომელიც რუსი და ქართველი ხალხების შემოქმედებითი თანამეგობრობის ნამდვილ დღესასწაულად გადაიქცა.**

ჰარმონიულად ერწყმის დროებასა და ადგილს

საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის ნოდარ მგალობლიშვილის საუბარი თვალსაჩინო მოსკოველ არქიტექტორებთან — საქართველოში რუსეთის სფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეებთან.

საუბარში მონაწილეობენ: **ვალენტინ ალექსის ძე პეტერბურგცევი,** რუსეთის სფსრ არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რუსეთის სფსრ დამსახურებული არქიტექტორი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მთელი რიგი ოლიმპიური ობიექტების, მოსკოვის ლევ ტოლსტოის ძეგლისა და პიატიგორსკის ვ. ი. ლენინის ძეგლის ავტორი. გარდა ამისა, ვ. ბოგდანოვი იმ საპრემიტო ინსტიტუტის ხელმძღვანელია, რომელიც მოსკოვის ცენტრისა და დედაქალაქის დიდი საზოგადოებრივი შენობების დაპროექტებაზე მუშაობს.

ნ. მგალობლიშვილი: პატივცემულო ვალენტინ ალექსის ძევ და ვლადიმერ ვიაჩესლავის ძევ, გვინდა ვისარგებლოთ საზეიმო დღეებში თქვენი მონაწილეობის გამო აქ ყოფნით და გაგვიზიაროთ აზრი თბილისის არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის საკითხებზე. თქვენი პროფესიული თვალსაზრისით, რა გაკეთდა თბილისში არცთუ ისე კარგად, და რა შეიძლება გამოსწორდეს; როგორია თქვენი სურვილები?

ვ. პეტერბურგცევი: პირველი, რაც საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, ეს არის ქართველ ხუროთმოძღვართა მაღალი პროფესიონალიზმი, მათი უსაზღვრო სიყვარული მშობლიური ქალაქისადმი. ჩვენ შევხვდით თბილისის მთავარ არქიტექტორს შ. ყავლაშვილს, თბილისქალაქპროექტის მთავარ არქიტექტორს თ. კანდელაკს, შემოქმედებითი სახელოსნოების ხელმძღვანელებს გ. ბათიაშვილს, ო. კალანდარიშვილს და ვ. ქუთათელაძეს. ყოველ მათგანს თავდავიწყებით უყვარს თავისი ქალაქი, უყვარს და პატივს სცემს საქართველოს ისტორიულ წარსულსა და ამასთანავე ბევრ რამეს აკეთებს ახალი, თანამედროვე არქიტექტურის განვითარებისათვის.

ჩვენ ძალზე მოგვეწონა: ძველი ქალაქი. უდიდეს მთაბეჭდილებას ახდენს როგორც მშენებლობის მასშტაბი, ისევე შედეგი — ძველი თბილისის მომხიბლავი ქუჩა-ბანდები, მოედნები და სახლები. ასევე ულამაზესია ახალი ნაგებობა. ეს ერთ-ერთი ... ...